ვერსია

№28 (1618) 21 — 26 ივლისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

80 წლის მამაკაცი ძილის წამლით გაგუდეს და სასქესო ორგანოში დაჭრეს

როგორ იძია გერმა შური მამინაცვალზე

გიორგი სანაიას მკვლელობის 21-წლიანი საიდუმლო

ვის ემალებოდა მკვლელობის დღეს ჟურნალისტი, რატომ მოკლეს პრეზიდენტის დაცვის წევრი და რა პირობა მისცა საკუთარ თავს ძმის ცხედართან მდგარმა ვახო სანაიამ

ფრთხილად, აკვარიუმის კომპანია თქვენს კაბინეტებში ფარულ ვიდეოკამერებს ამონტაჟებს!

ვინ არიან ახალგაზრდები, რომლებიც მაღალჩინოსნებს პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებდნენ

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

გოგაშვილის ქეისი

რატომ დაიჭირეს სპეცსამსახურის გავლენიანი ექსმაღალჩინოსანი

პოლიციამ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ვ.ც. დააკავეს. მას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა და ცეცხლის წაკიდებით ნივთის განადგურება.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 15 ივლისს, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ვალთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, ნაცნობს – 1982 წელს დაბადებულ ბ.ა.-ს, რომელიც თავის კუთვნილ ავტომანქანაში იმყოფებოდა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ვ.ც.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, ავტოსაგზაო შემთხვევის ინსცენირება მოაწყო. კერძოდ, გარდაცვლილი მძღოლი მგზავრის სავარძელზე გადაიყვანა, მისი ავტომანქანის საჭესთან თავად დაჯდა, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ავტომობილი ხევში გადააგდო, შემდეგ სალონში ცეცხლი გააჩინა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება მალევე მოახდინეს და ბრალდებულის სახით, ვ.ც. ჭიათურის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლის წაკიდებით ნივთის განადგურების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ხუთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხუთი პირი დააკავეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით არიან დაკავებულნი 1983 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი უ.გ., 1981 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.კ., 1980 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ლ.ღ., 1982 წელს დაბადებული მ.ყ. და 1994 წელს დაბადებული დ.მ.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებული უ.გ.-ის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ხოლო მ.ყ.-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 10 ვაზნა. რაც შეეხება ლ.ღ.-ს, მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 17 ვაზნა. დ.მ.-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა. ი.კ.-ის მიერ მითითებული ადგილიდან კი პოლიციამ ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 2 ვაზნა ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

აჭარაში, მკვლელობის ფაქტზე, პოლიციამ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ა.გ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 16 ივლისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სანადირო თოფიდან გასროლით, 1986 წელს დაბადებული გ.კ. სასიკვდილოდ დაჭრა.

პოლიციამ ბრალდებული ა.გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი, სანადირო თოფი, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს INL-მა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციამ (DEA), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა.

აღჭურვილობის გადაცემის ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ გახსნა. სიტყვით გამოსვლისას, მამუკა ჭელიძემ ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ხელმძღვანელს, სარა რუპერტს და ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) ატაშეს საქართველოში, ჯენიფერ სვიდერს მადლობა გადაუხადა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ხაზგასმით აღნიშნა სამომავლო თანამშრომლობის მნიშვნელობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემული ტექნიკური აღჭურვილობა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას შეუწყობს ხელს და გამომძიებლებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გამოვლენაში, აღკვეთასა და გავრცელების პრევენციაში დაეხმარება.

სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL) სამართალდამცავ სფეროში სხვადასხვა პროექტს ახორციელებს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობს კიბერდანაშაულის, კინოლოგიური სამსახურის განვითარების (K-9), ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სხვა მიმართულებებით.

ᲒᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲔᲘᲡᲘ

რატომ დაიჭირეს სპეცსამსახურის გავლენიანი ექსმაღალჩინოსანი

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ის, რომ სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე, სოსო გოგაშვილი დაიჭირეს, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ალბათ, თავად ექსმაღალჩინოსანიც ხვდებოდა, რომ მისი, როგორც იტყვიან, ბოლო, სწორედ გისოსები იქნებოდა, მაგრამ ბევრს აქვს კითხვა – რატომ დაიჭირეს გოგაშვილი იარაღის უკანონო შენახვა-შეძენის, ასევე, პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება-შენახვის ბრალდებით და არა იმ გახმაურებული საქმეების გამო, რომელ საქმეებზეც საზოგადოებაში, წლების განმავლობაში, ათასგვარი ხმა ვრცელდებოდა? ზოგადად, გამოძიებას მხოლოდ ტაქტიკა და სტრატეგიაც აქვს. აქედან გამომდინარე, ალბათობის დაშვება, რომ გამოძიების პროცესში ექსმაღალჩინოსანს ბრალდება დაუმძიმდეს, ან ახალი ბრალდება დაემატოს, რა თქმა უნდა, შეიძლება.

სხვათა შორის, საქართველოს პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს, იოსებ გოგაშვილის შესახებ განცხადება მისი დაკავებიდან მეორე დღეს გაავრცელა, რომელშიც ვკითხულობთ:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ იოსებ გოგაშვილს, 2015-2018 წლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის დროს, სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებოდა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე, ასევე, პირად და პერსონალურ მონაცემებზე. იოსებ გოგაშვილმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, ზემოაღნიშნული მონაცემები პირადი მიზნებისთვის გაიტანა სამსახურიდან და ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში, რომელთაგან ნაწილი ინფორმაცია იოსებ გოგაშვილის მონაწილეობით გავრცელდა საჯაროდ, რამაც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. გარდა ამისა, შეიქმნა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების საფრთხე.

ჩატარებული გამოძიების შედეგად, აგრეთვე დადგინდა, რომ იოსებ გოგაშვილმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ხუთი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, საიდანაც ორი იარაღი იყო გაუფორმებელი, ხოლო სამი გაფორმებული ახლო ნათესავის სახელზე, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა იოსებ გოგაშვილი 16 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილით (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236 მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს უკვე მიმართა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იოსებ გოგაშვილის საცხოვრებელი სახლიდან, სასამართლოს განჩინებით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული გრიფირებული სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული დოკუმენტაცია, პირადი და პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია, ათეულობით ტექნიკური მოწყობილობა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი“.

ბრალდებას დაკავებული, რასაკვირველია, არ იზიარებს. უფრო მეტიც, სასამართლო დარბაზში გოგაშვილმა რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა და, პრინციპში, ღიად თქვა, რომ პოლიტიკური ნიშნით დააკავეს და ამის ერთ-ერთ მიზეზად სუს-ის ექსმაღალჩინოსანმა ის დაასახელა, რომ საპატრიარქოში ჩანერგილი უცხო ქვეყნის აგენტურა ამხილა.

ახლა, სიმართლე რომ ვთქვათ, აგენტურის შესახებ ინფრომაცია სხვა დროსა და სხვების მიერაც გავრცელებულა, მაგრამ ამის გამო არავინ დაუჭერიათ.

აბა, რატომ თვლის გოგაშვილი, რომ პოლიტიკური ნიშნითაა დაჭერილი?

ოპოზიცია ამბობს, რომ გოგაშვილმა სისტემის მხილება დაიწყო და პოლიტპატიმარიც ამიტომაა. სუს-ის უფროსის ყოფილი მოდგილის დაკავებაზე კომენტარი თემირლან მაჩალიკაშვილის მამამაც გააკეთა და თქვა, რომ გოგაშვილმა პასუხი იმ ბრალდებების გამო კი არ უნდა აგოს, რაც წაყენებული აქვს, არამედ, სამართლიანი იქნება, მისი შვილის, თემირლანის წინააღმდეგ ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციის გამო დაისაჯოს.

ისე, გოგაშვილს ე.წ. ციანიდის საქმის არქიტექტორადაც მიიჩნევენ. ყოველ შემთხვევაში, დეკანოზ მამალაძის ოჯახი ასე ფიქრობს და პატიმრობაში მყოფი სასულიერო პირის ძმაც მიიჩნევს, რომ გოგაშვილმა პასუხი „ციანიდის“ გამო უნდა აგოს.

ასეა თუ ისე, სოსო გოგაშვილი სპეცსამსახურის პირველი ექსმაღალჩინოსანია, რომელიც ბოლო წლებში, გისოსებს მიღმა პირველად აღმოჩნდა. რით დამთავრდება ეს ეპოპეა, ჯერჯერობით, არავინ იცის, თუმცა რაც უნდა იყოს, პრეცენდენტი სახეზეა – „ოცნებამ“ ის ადამიანი დაიჭირა, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, ხელისუფლების სული და გული თუ არა, გავლენიანი წარმომადგენელი მაინც იყო.

ასე რომ, გოგაშვილის ქეისი ბევრისთვის, ალბათ, მაგალითი უნდა იყოს...

გიორგი სანაიას მკვლელობის 21-წლიანი საიდუმლო

ნინო დოლიძე

ზუსტად 21 წლის წინ, 2001 წლის 26 ივლისს, საზარელი ამბავი გავრცელდა – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გაჩნდა წარწერა – „გიორგი სანაია დაიღუპა“. გიორგი იმხანად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალისტი იყო და შესაბამისად, ზემოხსენებულმა წარწერამ მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო. შოკს გაურკვევლობაც აძლიერებდა ანუ კარგა ხანს, ეკრანზე მხოლოდ ეს სამი სიტყვა ჩანდა და არავინ, ან თითქმის არავინ იცოდა, რა მოხდა. რამდენიმე საათის შემდეგ, პირველი ცნობები გავრცელდება და ეჭვიც გაჩნდება, რომ ჟურნალისტის მკვლელობის მიზეზი პირადი უთანხმოება იყო. მერე, ისიც გაცხადდება, რომ გიორგის მკვლელი, თითქოს, ვინმე გრიგოლ ხურცილავაა. არადა, არც მაშინ და არც ახლა ეჭვი თითქმის არავის ეპარება, რომ გიორგის მკვლელობა პირად ურთიერთობებს არ უკავშირდებოდა... მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ორი ხელისუფლება შეიცვალა, არავის უცდია, ბოლო წლების ამ ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და სკანდალური მკვლელობისთვის ნათელი მოეფინა.

სხვათა შორის, ენმ-ს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, მოკლული ჟურნალისტის ოჯახმა პროკურატურას მკვლელობის გამოძიება მოსთხოვა, თუმცა მთავარი პროკურატურის პრესსამსახურისგან ასეთი პასუხი მიიღო, სასამართლო გადაწყვეტილება ძალაშია შესული და თუ ახალი გარემოება არ აღმოჩნდება, გამოძიება არ განახლდებაო.

ისე, სააკაშვილის მმართველობის დროს, ყველაფერი „ცოტა“ გასაგები იყო, გასაგები თუნდაც იმიტომ იყო, რომ თავის დროზე ითქვა, ჟურნალისტის მკვლელობით რეფორმატორები ხალხის ქუჩაში გამოყვანას, რევოლუციის მოწყობასა და შევარდნაძის ხელისუფლების დამხობას გეგმავდნენო ანუ გამოდის, რომ გიორგი სანაია, რომელსაც იმხანად ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა და მოსახლეობის ნდობითაც სარგებლობდა, გაწირეს?!

მაინც, როგორ ვითარებაში მოკლეს გიორგი სანაია? – ეს შეკითხვა დღემდე ბევრს აწუხებს და დღემდე ყველაზე სანდო, ნარკობიზნესთან დაკავშირებული ვერსიაა.

გასათვალისწინებელია, თავის დროზე, „ნომერ პირველ ტერორისტად“ შერაცხული, შოთა ჭიჭიაშვილის აზრიც, რომლის თქმითაც, გიორგი სანაიას მკვლელობა „ნაცმოძრაობას“ უკავშირდება. ეს კი იმისთვის გააკეთეს, რომ კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ შევარდნაძის რეჟიმისთვის.

კიდევ ერთი დეტალი: სააკაშვილის ხელისუფლებას არასოდეს გამოუთქვამს აზრი სანაიას მკვლელობის ალტერნატიულ დეტალებზე... ერთი სიტყვით, ყველა გზას ნარკოტიკებთან მივყავართ.

ერთ-ერთი ბოლო ვერსია ცნობილ ჟურნალისტს, აწ განსვენებულ კლარა აბრამიას ეკუთვნის, რომელმაც სანაიას მკვლელობაში ღიად დაადანაშაულა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, კახა თარგამაძე. აი, რა განაცხადა კლარა აბრამიამ ერთ-ერთ ინტერვიუში:

„სანაიას ჰქონდა სერიოზული მასალები და ვოდეოფირები, როგორ შემოდიოდა ავღანეთიდან, ბაქოს გავლით, თბილისში დიდძალი ნარკოტიკი, როგორ ასაწყობებდნენ მას „მაუდკამვოლის“ ფაბრიკის სარდაფებში და შემდეგ, ბათუმიდან როგორ გაჰქონდათ გემებით. ყველაფერ ამას ხელმძღვანელობდა კახა თარგამაძე, ხოლო გიორგი სანაია იძიებდა ამ საქმეს. შუა აზიაშიც კი იყო ჩასული ამის გამო და სერიოზული მასალები მოაგროვა. სწორედ ამას შეეწირა გიორგი სანაია“.

მაინც, რა იცოდა გიორგი სანაიამ? – იმისთვის, რომ მის გარშემო განვითარებული მოვლენების სრული სურათი დავხატოთ, უნდა გავიხსენოთ ყველა ცნობილი დეტალი, რაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხდებოდა.



ვის ემალებოდა მკვლელობის დღეს ჟურნალისტი, რატომ მოკლეს პრეზიდენტის დაცვის წევრი და რა პირობა მისცა საკუთარ თავს ძმის ცხედართან მდგარმა ვახო სანაიამ

იმ დროისთვის პანკისის თემა ყველა ჟურნალისტისთვის საინტერესო იყო და, ბუნებრივია, გიორგი სანაიაც ამ ჟურნალისტების რიცხვში შედიოდა. მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, გადაცემა „ღამის კურიერში“, პანკისიდან ადგილობრივი ვეფხია მარგოშვილი ჩაერთო და გიორგის უთხრა, თუ პანკისის შესახებ ბევრი რამ გაინტერესებთ, ეთერს მიღმა ვისაუბროთო. შუამავლად დასახელდა ელენე თევდორაძე, რომელიც ამ დროს სტუდიაში იმყოფებოდა.

როგორც შემდეგ გაირკვა და ელენე თევდორაძემ სასამართლოს განუცხადა, ვეფხია მარგოშვილმა, მართლაც, გამოატანა ვიდეოკასეტა გიორგი სანაიასთან. კასეტის გადაცემა პარლამენტის ფოიეში, მაშინდელი ჟურნალისტისა და ახლანდელი პოლიტიკოსის, ირმა ნადირაშვილის თანდასწრებით მოხდა. სწორედ იმ ღამეს მოკლეს გიორგი სანაია...

რა ინფორმაცია იყო ამ კასეტაზე? – ეს მოგვიანებით, სანაიას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი და აი, როგორ:

ვეფხია მარგოშვილი იმ დროისთვის გამომავალ ერთ-ერთ გაზეთს დაუკავშირდება და განუცხადებს, რომ კასეტაში დასახელებული იყო პოლიციის მაღალჩინოსნებისა და ყველა იმ ძალოვანი მინისტრის გვარი, რომლებიც პანკისის ნარკობიზნესს აკონტროლებდნენ და პანკისელ პარტნიორებთან, ჩეჩნეთიდან დაძრული საქონლის წილების გაყოფაზე ჰქონდათ დავა.

ამ გაზეთს მარგოშვილი დაჰპირდება, რომ კასეტის ასლს სანდო პირის დახმარებით მიაწვდის, მაგრამ არ დასცალდება – საკუთარ ეზოში, დისტანციური ბომბით ააფეთქებენ.

სხვათა შორის, დრო რომ გავა, იტყვიან, ვიდეოკასეტის შინაარსი კიდევ ერთმა ჟურნალისტმა იცოდა, რომელიც გააფრთხილეს კიდეც, ყველაფერი ცუდად დამთავრდებაო და განზე გადგომა ურჩიეს. ინფორმაცია მოვლენების ცუდად განვითარების შესახებ კი „გარეთ“, თურმე, მაშინდელი პრეზიდენტის დაცვის ერთ-ერთმა წევრმა, ი.ჩ.-ძემ გამოიტანა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქმე მის ახლობელს ეხებოდა. ინფორმატორი, რომელიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა, ამ ამბავს უკავშირებს ი.ჩ.-ძის ჯერ სამსახურიდან გაშვებას და შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში მკვლელობას – საკუთარ ეზოში ჩაცხრილეს.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, გიორგი სანაიაზე სიკვდილამდე ნადირობდნენ. როგორც მისი ყოფილი თანამშრომლები იხსენებენ, სიკვდილის დღეს, გიორგი ვიღაცას ემალებოდა. ერთ-ერთი თანამშრომლისთვის ისიც კი უთქვამს, ისე დაჯექი, არავინ შემამჩნიოსო.

კიდევ ერთი დეტალი: სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, გიორგი სანაია ბათუმში, თურმე, ასლან აბაშიძის უშიშროების სამსახურის უფროსს, სოსო გოგიტიძეს, ასლან და მურად სმირბებსა და გიორგი თარგამაძეს შეხვდა. ეს იყო საიდუმლო შეხვედრა, რომელიც ბათუმის „ბუნგალოში“ შედგა და რომელსაც შემთხვევით, ადგილობრივი ჟურნალისტი შეესწრო. მაშინ, როცა ეს ამბავი გახმაურდა, გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ასლან სმირბამ კი, წერილობითი ახსნა-განმარტება გამოუგზავნა გამოძიებას, სადაც წერდა, რომ შეხვედრა გადაცემის დასაგეგმად შედგა.

ისე, ითქვა ისიც, რომ „რუსთავი 2“-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა აწ განსვენებულ ჟვანიაზე ნაწყენი იყო და დაფინანსებას ასლან აბაშიძისგან ელოდა... მიუხედავად ამისა, არავის გასჩენია ეჭვი, თუ რა უნდოდათ შეხვედრაზე ძმებ სმირბებსა და სოსო გოგიტიძეს, რომლებსაც აჭარაში „ნარკომამებს“ ეძახდნენ.

წრე ლოგიკურად იკვრება: ყველა ფაქტი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტის მკვლელობა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის მისაჩქმალად დაიგეგმა. შესაბამისად, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, საქმის გამოძიება არასდროს მოხდება. ეს რომ ასეა, ამის მაგალითად, თუნდაც კიდევ ერთი ქართველი ჟურნალისტის, უკრაინაში მოღვაწე გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეც გამოდგება...

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, შოთა ჭიჭიაშვილის ბანდის ყოფილმა წევრმა, კონსტანტინე ციხისთავმა, რომელიც იმხანად სასჯელს იხდიდა, განაცხადა, რომ სანაია მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დავალებით მოკლეს. ციხისთავი იმასაც ამბობდა, რომ ჟურნალისტის მკვლელობის ფალსიფიცირებული მოტივი წინასწარ, ჯერ კიდევ გიორგი სანაიას სიცოცხლეში შეიქმნა, 26 წლის ახალგაზრდა კი შოთა ჭიჭიაშვილმა მოკლა.

რაც შეეხება მკვლელობისთვის გასამართლებულ გრიგოლ ხურცილავას, ციხისთავის მტკიცებით, დანაშაული ამ უკანასკნელმა დიდძალი ვალისა და პრობლემების გამო აიღო. მაშინდელმა ხელისუფლებამ კი რეზონანსული საქმისთვის ვექტორის შეცვლა მოახერხა.

საბოლოოდ, ყოფილი პოლიციელი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის მოტივით გაასამართლეს.

2013 წელს, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს ამნისტია შეეხო და საპყრობილე დატოვა.

ციხისთავი ირწმუნება, რომ „გრიცკო“ მათ ბანდას საქმეებს აძლევდა, რადგან საკუთრების დაცვის სამმართველოში მუშაობდა და კარგად იცოდა უცხოელების გადაადგილების მარშრუტი. პატიმრის მტკიცებითვე, ხურცილავა მაშინაც მორიგე იყო, როცა ესპანელი ბიზნესმენები გაიტაცეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანაიას საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი, ყოფილი დეპუტატი ელენე თევდორაძეა, რომელმაც კონსტანტინე ციხისთავის ზემოხსენებული ხმაურიან ბრალდებების მერე განაცხადა:

დასასრული მე-5 გვერდზე

გიორგი სანაიას მკვლელობის 21-წლიანი საიდუმლო



მე-4 გვერდიდან

„კითხვები მაქვს და დღეს კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სად დაიკარგა კასეტა, რომელიც სანაიას პირადად გადავეცი?! პირადად მე ვიყავი მარგოშვილის სახლში, პანკისში ასული. მაშინაც კახეთიდან ქალბატონი იყო გატაცებული, საბოლოოდ, გატაცებული მარგოშვილმა, მართლაც, გაუშვა და სწორედ მაშინ გადმომცა აღნიშნული კასეტა, ნამდვილად არ მახსოვს, რა შინაარსის ინფორმაცია იყო, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ რაღაც ნარკოტიკებზე იყო საუბარი, რომელშიც შს სამინისტროს წარმომადგენლები ფიგურირებდნენ... კასეტაში შს სამინისტროს კონკრეტული წარმომადგენლების გვარ-სახელები იყო დასახელებული. ისინი ყველაფერზე წავიდოდნენ, რომ კასეტა ტელეეთერით არ გასულიყო“...

***

აქვე, გთავაზობთ ამონარიდებს გიორგი სანაიას ძმის, ჟურნალისტ ვახო სანაიას ინტერვიუდან, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ ქართულ გამოცემას მისცა:

– გიორგის სასაფლაოს ჰყავს მომვლელები, მაგრამ საფლავის მოვლას დედა არავის ანებებს და აქაურობა ყოველთვის მოწესრიგებულია. დღე არ გავა, დედ-მამა აქ არ ამოვიდნენ. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მეც ხშირად ამოვდივარ, ოღონდ, ან ძალიან ადრე, ან – გვიან, დროს არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. აქ ღამის პირველ საათზეც ამოვსულვარ... 26 ივლისს, საფლავზე, ჩვენი ოჯახის წევრებისა და გიორგის მეგობრების გარდა, სრულიად უცხო ადამიანებიც ამოდიან, ისინი, რომლებიც მას მხოლოდ უყურებდნენ და უსმენდნენ. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია და მინდა, მათ დიდი მადლობა ვუთხრა.

– რა გრძნობა გეუფლება, როცა ძმის საფლავზე ამოდიხარ?

– ისეთი შეგრძნებაა, რომ მასთან მაქვს შეხება. საფლავს აქვს იმის დატვირთვა, რომ ყველაფერი არ იკარგება ცხოვრებაში... მოხვალ, დაელაპარაკები და იმ დროს, თითქოს, ის შენთანაა, შენს გვერდით. ხშირად შემიმჩნევია, დედა გიოს ხმამაღლა ელეპარაკება.

– ვახო, როგორი ძმობა გქონდათ შენ და გიორგის?

– გიო 10 წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ არასდროს უგრძნობინებია, რომ ჩემზე დიდი იყო და ამის გამო უპირატესობა ჰქონდა. მას ყოველთვის შეეძლო კარგი რჩევის მოცემა. გარდა იმისა, რომ ძმები ვიყავით, მირჩევდა, რა წიგნი წამეკითხა და როგორ მიმეღო გადაწყვეტილება, მასწავლიდა, როგორ მოვქცეულიყავი ამა თუ იმ სიტუაციაში, ურთიერთობაში. უხეშად რომ ვთქვა, კაცობას მასწავლიდა.

– ბოლოს როდის ნახე?

– მე და ჩემმა ოჯახმა გიო მკვლელობამდე ხუთი დღით ადრე ვნახეთ. 21 ივლისს, ბათუმში მიდიოდა და ჩვენთან, სამტრედიაში შემოირბინა, წაიხემსა და ფული დამიტოვა. ბათუმიდან პირდაპირ თბილისში დაბრუნდა. მას შემდეგ აღარ გვინახავს.

– რას ნიშნავს, იყო გიორგი სანაიას ძმა?

– გარდა იმისა, რომ კარგია, ასეთი სანიმუშო ძმა გყავს, ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა და როცა რაღაც ნაბიჯს დგამ, ასჯერ უნდა გაზომო. ყოველთვის გიტრიალებს აზრი, რომ შენ რაღაცების უფლება შეიძლება არ გქონდეს. გიომ დიდი სახელი დატოვა ამ ქალაქში, რაც დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმის უფლებას არ მაძლევს. ეს პასუხისმგებლობა მეხმარება, რომ უფრო მაგარი ვიყო. ამ ადამიანმა თავისი ცხოვრებით, შემდეგ კი გარდაცვალებით, დიდი როლი ითამაშა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

– წლების შემდეგ, როდესაც გადააფასე ყველაფერი, რა დასკვნა გამოიტანე – რატომ მოკლეს გიორგი სანაია?

– მაშინ 16 წლის ვიყავი, უკვე ყველაფერს მშვენივრად ვხვდებოდი და რა აზრზეც მაშინ ვიყავი, ახლაც იმავე აზრზე ვარ. წლების გასვლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მეტი გამოცდილება შევიძინე, მეტი ინფორმაცია მაქვს და კიდევ უფრო განმიმტკიცდა ის შეხედულება, რაც 2001 წლის 26 ივლისსვე ჩამომიყალიბდა – გიოს მკვლელობა პოლიტიკური იყო!

– შენი აზრით, ვის და რისთვის დასჭირდა პოპულარული ჟურნალისტის ლიკვიდაცია?

– ჯერ ერთი, ეს იმიტომ სჭირდებოდათ, რომ მისი პროფესიული საქმიანობისთვის შეეშალათ ხელი და ვიტყვი მთავარ მიზეზს: გიოს მოსყიდვა შეუძლებელი იყო, დაშინებაც. მე შეშინებული გიორგი არ მინახავს – არც ომში და არც ჟურნალისტიკაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ომია. ამ შემთხვევაში, რჩება მარტივი და ცუდი გამოსავალი – მკვლელობის შეკვეთა და ტყვია. შეიძლება, გიორგი ფიზიკურად გაანადგურეს, მაგრამ მის სახელს ვერაფერი დააკლეს, თუმცა ეცადნენ მისთვის ჩირქი მოეცხოთ. ყველა პოლიტიკური მკვლელობების შემთხვევაში, მკვლელები მსხვერპლის სახელის განადგურებაზეც ზრუნავენ. გიორგის გარდაცვალებიდან ამდენი წელი გავიდა და რომ ჰკითხოთ ნებისმიერ ადამიანს, ყველა დაადასტურებს, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. ამ ისტორიაში ის არის ყველაზე მთავარი, რომ მის სახელს ვერაფერი დააკლეს.

– ითქვა ისიც, რომ ამ მკვლელობით, გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს ეწადათ ხალხში საყოველთაო მღელვარების აგორება და სარგებლის ნახვაო...

– ამ საკითხზე მარჩიელობას არ დავიწყებ. მოვა დრო, ეს საქმე გაიხსნება და ყველაფერს ნათელი მოეფინება. მე არ ვილაპარაკებ ვერსიებზე. ამას ერთადერთ შემთხვევაში გავაკეთებ – როცა მათ დასაბუთებას შევძლებ.

ერთი ვიცი, რომ საქმე გაიხსნება და ეს ძალიან მალე მოხდება. მე ეს პირობა ჩემს თავს და ოჯახს მივეცი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გიორგი სიონის ტაძარში იყო დასვენებული და მას პატრიარქმა აუგო წესი. სიმართლე გითხრათ, მაშინ არც მქონდა იმის ილუზია, რომ ეს საქმე გაიხსნებოდა, პოლიტიკური მკვლელობები ასე მარტივად არ იხსნება. მე არ მჩვევია ჰაერზე ლაპარაკი იმაზე, რისი შესრულების იმედიც არ მაქვს. ზუსტად რომელ დღეს, ვერ გეტყვით, მაგრამ გპირდებით, რომ სასამართლო მალე გაიმართება.

– გულში თუ გაქვს ხინჯად ის დეტალი, რომ გიორგიმ სახლის გასაღები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დაკარგა?

– გასაღები, მართალია, დაიკარგა, მაგრამ სად, როდის და როგორ – ეს გამოსაძიებელია, ზუსტად არავინ არაფერი იცის. ამ ვერსიას მე ვერ გავიზიარებ. რა ეჭვებიც არსებობს, მათ დასაბუთება უნდა. ეჭვისა და ვარაუდის დონეზე კი დასკვნებს ვერ გავაკეთებ. „რუსთავი 2“-ის პირველ შემოთავაზებაზე, იქ გადავსულიყავი, უარი ვთქვი იმიტომ, რომ ვმუშაობდი „მზეში“. „კურიერის“ წამყვანად ექვსი წლის შემდეგ მივედი. იმ დროს ტელეკომპანიაში უკვე სხვა ადამიანები დამხვდნენ. რომ მცოდნოდა, ვიღაცამ გიოს გასაღები მოპარა, მასთან ერთად, რა თქმა უნდა, არასდროს ვიმუშავებდი. როცა მქონდა კარგი შემოთავაზება, ხელიდან რატომ უნდა გამეშვა?

– შენი აზრით, რატომ გამოიყენა დამკვეთმა შემსრულებლად მაინცდამაინც „გრიცკო“, თქვენი ყოფილი რძლის ნათესავი? მართალია, მან აღიარა დანაშაული, მაგრამ შენი აზრი მაინტერესებს, მოკლავდა თუ არა ის გიორგის?

– ამას არ გამოვრიცხავ, ვინაიდან არსებობს მყარი არგუმენტები. ერთი ის, რომ პოლიციელი ხურცილავა გათავისუფლებული იყო სამსახურიდან და მას რატომღაც არ ჩამოართვეს ტაბელური იარაღი, რომელიც თან დაჰქონდა. ამასთან, მას ჰქონდა დიდი ვალები და პრობლემები. დღეს ეს პრობლემები მას რატომღაც მოხსნილი აქვს. აქედან მარტივია დასკვნის გამოტანა, მაგრამ მან გამოკრა თუ არა სასხლეტს ხელი, ამაზე ლაპარაკი ძნელია, თუმცა პოლიციელია და ეხერხება სროლა. არის მეორე ვარიანტიც, რომ მან მკვლელობა საკუთარ თავზე აიღო და ამ ყველაფრის შემდეგ მოუგვარეს მას პრობლემები, თუმცა ეს არ ამსუბუქებს ხურცილავას დანაშაულს. მან უარესი, უფრო მძიმე დანაშაული მაშინ ჩაიდინა, როდესაც გიორგიზე ბინძური რაღაცები თქვა, ამას ვერც კი აცნობიერებს. ხურცილავა მერეც დაისჯება, ამაში დარწმუნებული ვარ.

***

ერთი სიტყვით, 2001 წლის სისხლიანი 26 ივლისიდან 21 წელი გავიდა და კითხვაზე პასუხი – რატომ მოკლეს გიორგი სანაია, მაინც არ არსებობს. ვის არ აწყობს ცნობილი ჟურნალისტის საქმის გახსნა? – ესეც რიტორიკული კითხვაა, თუმცა ვინაიდან არა არს დაფარული, რომელიც არა გაცხადდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან, ნათელი გიორგის მკვლელობასაც მოეფინება და საზოგადოება გაიგებს, რა მოხდა 2001 წლის 26 ივლისს...

საქართველოს შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან 179 მილიონი დოლარით გაიზარდა

მაკა რუხაძე

2022 წლის ტურისტული სეზონი გამორჩეული უნდა ყოფილიყო. ექსპერტებიცა და დარგის სპეციალისტებიც აცხადებდნენ, რომ 2020-2021 წლებში, პანდემიისა და „ლოქდაუნის“ გამო დაზარალებულ ტურისტულ სექტორს, სწორედ 2022 წლიდან უნდა ამოესუნთქა. რეალურად, ეს ასეც იქნებოდა, რომ არა რეგიონში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა – რუსეთის შეჭრა უკრაინაში და თითქმის ხუთთვიანი ომი. ცხადია, ეს მდგომარეობა ტურისტულ სეზონზეც აისახა, თუმცა ომის მიუხედავად, საქართველოში რუსი ტურისტებიც სჭარბობენ და უკრაინიდან იძულებით დევნილი, მშვიდობიანი მოქალაქეებიც. პრინციპში, არც უცხოელი ტურისტების ნაკლებობაა, თუმცა უმჯობესია, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის – „საქსტატის“ ოფიციალურ მონაცემებს გავეცნოთ და სიტუაცია მხოლოდ ამის შემდეგ, ციფრებზე დაყრდნობით შევაფასოთ.

ტურიზმის სტატისტიკა – რომელი ქვეყნებიდან განხორციელდა საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში

ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში, ტურისტული სექტორის წარმომადგენლები პესიმისტურ პროგნოზს აკეთებდნენ. მაგალითად, ტურისტული კომპანია „კლარკ რობინსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, მამუკა კელაურიძემ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ პანდემიის დასრულებასთან ერთად, ძალიან დიდი მოლოდინი არსებობდა, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომის გამო, 2022 წელი კიდევ უფრო წამგებიანი იქნება.

სინამდვილეში, „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წლის ექვს თვეში ანუ იანვრიდან ივნისამდე პერიოდში, საქართველოში, საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 1 209 272 გახლდათ, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 186.3%-ით მეტია. მიმდინარე წლის ივნისში, საქართველოში, 445 894 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. მათ შორის, სხვა ანუ არატურისტული ვიზიტების რაოდენობა – 58 113, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები – 387 781 იყო.

ახლა ვნახოთ, რომელი ქვეყნებიდან განხორციელდა საერთაშორისო ვიზიტები ჩვენს ქვეყანაში: რუსეთიდან – 90 239 ვიზიტორი; თურქეთიდან – 62 192 ვიზიტორი; სომხეთიდან – 61 974 ვიზიტორი; საქართველო (არარეზიდენტი) – 22 143 ვიზიტორი; ისრაელი – 20 555 ვიზიტორი; უკრაინა – 15 273 ვიზიტორი; ყაზახეთი – 14 368 ვიზიტორი; აზერბაიჯანი – 13 067 ვიზიტორი; ბელარუსი – 12 284 ვიზიტორი; საუდის არაბეთი – 10 372 ვიზიტორი; ირანი – 9 454 ვიზიტორი; უზბეკეთი – 5 697 ვიზიტორი; გერმანია – 5 557 ვიზიტორი; პოლონეთი – 3 907 ვიზიტორი; აშშ – 3 195 ვიზიტორი.

ტურისტული სეზონისთვის საქართველოს ზღვისპირა კურორტებიც მზადაა. მეტიც, პანდემიის შემდეგ, აჭარა ნელ-ნელა იბრუნებს ტურიზმის ინდუსტრიას, მაგალითად, ბათუმში ვიზიტორთა სიმრავლეა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, რეგიონში, განსაკუთრებით ბათუმში, სრულადაა აღდგენილი 2019 წლის ტურისტული ნაკადები. მისივე თქმით, ყოველდღიურად იზრდება, როგორც აეროპორტების დატვირთვა, ასევე, ემატება ახალი საერთაშორისო მიმართულებები და რეისები.

ტურისტული სეზონის გააქტიურება მხოლოდ ბათუმში იგრძნობა. სულ სხვა ვითარებაა ქობულეთში, გონიოში, კვარიათსა და სარფში, სადაც ტურისტების ნაკლებობას უჩივიან. მეტიც, კვარიათსა და გონიოში სასტუმროები ლამის დაცარიელებულია.

ისევ ოფიციალურ სტატისტიკას დავუბრუნდეთ. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური ინფორმაციით, 2022 წლის ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან 179 200 000 აშშ დოლარით გაიზარდა. კერძოდ, სებ-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის ივნისში, უცხოელი მოგზაურებისგან შემოსავალი შეადგენდა 301 700 000 აშშ დოლარს, არადა, ერთი წლის წინ, ეს მაჩვენებელი 122 500 000 აშშ დოლარი გახლდათ. 2020 წლის ივნისში, მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 11 200 000 აშშ დოლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლების ასეთი დაბალი მაჩვენებლები განპირობებული იყო კორონავირუსის პანდემიითა და მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვებით.

რაც შეეხება 2022 წლის გასული თვეების სტატისტიკას, სებ-ის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურობიდან, ქვეყანამ მაისში 258 600 000 აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო; აპრილში – 188 600 000 აშშ დოლარი; მარტში – 174 500 000 აშშ დოლარი; თებერვალში – 105 200 000 აშშ დოლარი; იანვარში – 114 000 000 აშშ დოლარი.

მაკა რუხაძე

ხარვეზები ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების სახელმწიფო კონტროლით დაინტერესდა. გარდა იმისა, რომ ქალაქში გამონაბოლქვით დაბინძურების მაჩვენებელი დადგენილ ნორმებს ბევრად აღემატება, სახელმწიფო აუდიტი კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მიზეზის გამო დაიგეგმა – შეფასებულიყო ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ პროცესებზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა, ასევე, ქვეყანაში დადგენილი სტანდარტების შესაბამისობა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დირექტივებთან და სტანდარტებთან. როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოვლინდა.

თუმცა, ვიდრე დარღვევებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ ქვეყნის მასშტაბით მოძრავი ავტომობილების ტექნიკური გამართულობა მნიშვნელოვანია მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებისა და გარემოზე მიყენებული ზიანის შესამცირებლად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის 91% ცხოვრობს გარემოში, სადაც ჰაერის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულ ნორმებს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ქვეყნების უმსხვილეს ქალაქებში, ასევე მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სამრეწველო ზონებთან ფიქსირდება, რაც საბოლოოდ ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ატმოსფერული ჰაერი ძირითადად ბინძურდება ტრანსპორტის, მრეწველობის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორებიდან.

ხარვეზები რეფორმით მიღწეულ შედეგებში

აუდიტის შედეგად, რომელიც 2018-2020 წლებს ეხება, გაირკვა, რომ ამ პერიოდში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მავნე ნივთიერების კონცენტრაციების დადგენა და არეალის დაფარვა სრულყოფილად არ წარმოებდა. შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობით მიღებული გავლენა ჰაერის დაბინძურებაზე. არადა, ამის გარეშე, რეფორმის ეფექტიანობის სათანადოდ შეფასება შეუძლებელია.

„რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, ინსპექტირების ცენტრები უნდა დაკომპლექტდეს შესაფერისი კადრებით, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ინსპექტორების არასათანადო კვალიფიკაციით გამოწვეული შეცდომები. აუდიტორული პროცედურების შედეგად შერჩეული ინსპექტირების ცენტრებზე, სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი 2018-2020 წლებში ინსპექტორთა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა ინსპექტირების ცენტრები აკრედიტაციის ცენტრიდან იღებდნენ დადებით შეფასებებს. ინსპექტორთა კვალიფიკაციის შეფასება განხორციელდა არასრულყოფილად, რადგან შეფასება გაიარა არა ყველა, არამედ, მხოლოდ ინსპექტირების ცენტრების მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა. მეტიც, ისეთი შემთხვევებიც გამოვლინდა, როდესაც აკრედიტაციის ცენტრი ინსპექტორთა სწავლებას და შემდგომ, გასაუბრების შედეგად მათი ცოდნის შეფასებას, თავადვე ახორციელებდა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ინსპექტირების ცენტრების დანადგარებისა და აღჭურვილობის დადგენილ ვადებში დაკალიბრება, მათი გამართული ფუნქციონირება, ვიდეომეთვალყურეობის სისტემების უწყვეტი ფუნქციონირება, ინფორმაციულ სისტემებში ასახული ინფორმაციის უტყუარობა და სისრულე, არ ხორციელდებოდა მოთხოვნათა სრული დაცვით. ეს კი, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, აკრედიტაციის ცენტრის კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე მიუთითებს და უარყოფითად აისახება ინსპექტირების პროცესის სრულყოფილად და ობიექტურად განხორციელებაზე.

განუხორციელებელი ღონისძიებები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან გამოვლენილი შეუსაბამობების მიუხედავად, ინსპექტირების ცენტრებს არ შეუფასებიათ შეუსაბამობების გავლენა, ამიტომ აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგმა ვერ უზრუნველყო შედეგების კორექტირება და პრევენციას. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ინსპექტირების ხარისხსა და რეფორმის ეფექტიანად განხორციელებაზე.

„2018-2020 წლებში, ინსპექტირების პროცესზე კონტროლი მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით, შესაფერისი პასუხისმგებლობების ზომების არარსებობის პირობებში, აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებული ვიდეომონიტორინგი ვერ უზრუნველყოფდა ინსპექტირების ცენტრებისა და ინსპექტორების მიმართ სისტემურ მიდგომას და ინსპექტირებასთან დაკავშირებული დარღვევების პრევენციას. ამის მიზეზი იყო ის, რომ ინსპექტირების პროცესის კონტროლს არ ახორციელებდა კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ფუნქციის მქონე სახელმწიფო უწყება, ხოლო აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩატარებული ინსპექტირების პროცესის მიმდინარე მონიტორინგი, როგორც მისი ფუნქციებისგან განსხვავებული საქმიანობა, ვერ უზრუნველყოფს დარღვევების სათანადო პრევენციას. გარდა ამისა, ინსპექტირების ცენტრების მხრიდან ვიდეოჩაწერის უწყვეტ რეჟიმში განხორციელებასთან და ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები არ სრულდებოდა, არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესაბამისი მექანიზმები და ინსპექტირების ცენტრებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, თავი აერიდებინათ სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლისთვის“.

მეტიც, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ არ არსებობდა რისკებზე დაფუძნებული შერჩევის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ინსპექტირების ცენტრის/ფილიალის ვიდეომონიტორინგს; არ არსებობდა ქმედითი მექანიზმები ინსპექტირების პროცესში დარღვევების გამომწვევი მიზეზების, მათი მნიშვნელობის დადგენასა და პრევენციასთან დაკავშირებით.

ხარვეზები ავტომობილების ინსპექტირებაში

არსებული რეგულაციებით, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ვადამდელი ინსპექტირება სავალდებულო არაა. არადა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დროის გარკვეულ მონაკვეთში, გზებზე გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენარჩუნებასა და რეფორმის მიზნების მიღწევას ვადამდელი ინსპექტირება ხელს შეუწყობდა. საკითხის კომპლექსურობისა და სირთულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, შესაბამისმა უწყებებმა ამ ინიციატივის დანერგვის შესაძლებლობა განიხილონ.

სახელმწიფო აუდიტის ფარგლებში, მაკონტროლებლებს ინსპექტირების ცენტრებს შორის კონკურენციაც უნდა შეესწავლათ. ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში ინსპექტირების ცენტრების მოწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა. მასში მონაწილე ერთადერთ პრეტენდენტთან – შპს „პრემიუმ რეზიდენსთან“ (რეორგანიზაციის შედეგად, სს „გრინვეი საქართველო“) სამი ხელშეკრულება გაფორმდა, საერთო ღირებულებით – 6 723 000 ლარი. სს „გრინვეი საქართველოს“, ქვეყნის მასშტაბით, ინსპექტირების ხაზის მოწყობა და ოპერირება დაევალა.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ გადაწყვეტილებით, სს „გრინვეი საქართველოს“ შერჩევის პროცესი შეფასდა კონკურენციის შეზღუდვად, რომელმაც ბაზარზე ახალი სუბიექტების შესვლას ხელი შეუშალა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და სასამართლოში გაასაჩივრა. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, რათა დაესკვნა, რამდენად შეუწყობდა ხელს ამგვარი პირობები რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა არ არსებობს. თუმცა, ტექნიკური ინსპექტირების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა უნდა დანერგილიყო 2021 წლის მარტიდან და მასში ინსპექტირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა ასახულიყო. აუდიტორების მტკიცებით, ინსპექტირების ცენტრების მხრიდან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის წარდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია, რაც არ იძლევა სრულყოფილი სტატისტიკის წარმოებისა და ანალიზის საშუალებას.

„შოკში ვართ!“

სალომე ნოზაძე

„ვერსია“ აგრძელებს შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი საზარელი დანაშაულის ფაქტის გამოძიებას. შეგახსენებთ, 13 წლის გოგონა 53 წლის პაპას გაუპატიურებაში ადანაშაულებს და ჩვენებაში აცხადებს, მამის მამა მასზე სისტემატურად ძალადობდა. „ვერსიამ“ ამ საქმეზე, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, არაერთი სტატია მოამზადა,თვეების მანძილზე ვაგროვებდით ინფორმაციას და კვლავ ვაგრძელებთ ამ სკანდალური ამბის გამოძიებას.
„ვერსიამ“ გაარკვია, რომ ბაბუას, რომელსაც შვილიშვილის გაუპატიურება ედებოდა, 16-წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.
გთავაზობთ, ბრალდებულის ადვოკატ ზურაბ თოდუას კომენტარს:

რამდენი წლით გაუშვეს ციხეში 53 წლის კაცი, რომელსაც ბრალად 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურება ედება

„შოკში ვართ ყველა! ეს გადაწყვეტილება, რაც მოსამართლემ მიიღო, სრულიად გაუგონარი და დაუსაბუთებელია. ბრალდებული ყველა ბრალდებაში სცნო დამნაშავედ და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბრალდებულს სამი სამედიცინო ექსპერტიზა აქვს ჩატარებული, რომლითაც დგინდება, რომ რა ბრალიც აქვს წარდგენილი, ფიზიკურად ვერ განახორციელებდა. დაზარალებული ბავშვი, რომელიც ჰყვება, რომ გაუპატიურებულია 60-ჯერ, არ დასტურდება სამხარაულის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და დაზარალებლის მთლიანი ჩვენება მხოლოდ ვიღაცის დარიგებულია, რადგან ის, რასაც ეს ბავშვი ამბობს, წარმოუდგენელია ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ეს ბავშვი არის მკაცრად დარიგებული, ვიღაცას სერიოზული ინტერესი აქვს ამ ადამიანის მიმართ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს მოსამართლე ქართული სამართლის ისტორიიდან წაიშალოს. ეს პრაქტიკა, რაც მან დაამკვიდრა, არის სრულიად გაუგონარი, არათუ ევროპული კანდიდატობისკენ მიმავალი ქვეყნისთვის, არამედ, სადაც ვართ, იქაც არ დაგვტოვებენ ამ განაჩენით. ვერ წარმოუდგენია ვერავის, პროკურორიც კი გაოცებული იყო. ექსპერტიზის ოთხი დასკვნით დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას როგორ აუარა გვერდი და როგორ აპირებს ამ გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებას, არ ვიცი. ველოდებით ამ დასაბუთებული განაჩენის დასაბუთებას და სავარაუდოდ, ათ დღეში უნდა გადმოგვეცეს. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე შემიძლია, ვთქვა, იმის დასაბუთებას, რაც ამ ადამიანმა დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენის სახით, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით ვერ შეძლებს. ეს მხოლოდ მონა რეჟიმში მყოფ მოსამართლეს შეუძლია.

ვაპირებთ, გავასაჩივროთ ეს განაჩენი არა მარტო სააპელაციო სასამართლოში, არამედ, ამ მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხიც უნდა დადგეს. მოსამართლე ვერ ერკვევა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ბრალდებულს არ აქვს სექსუალური პოტენცია წლების მანძილზე. ვერ ერკვევა იმაში, რომ საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელი სექსუალური პოტენციის მქონე მამაკაცისგან. მოსამართლე უნდა დაისაჯოს იმისთვის, რომ ასეთი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო. ბრალდებული არაფერს ამბობს, ჯერჯერობით. არ ელოდა მსგავს განაჩენს“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში ჯგუფურად პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ცხრა პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის ცხრა წევრი დააკავეს.

1980 წელს დაბადებული გ.ფ., 1968 წელს დაბადებული კ.მ., 1960 წელს დაბადებული მ.ლ., 1981 წელს დაბადებული ა.მ., 1978 წელს დაბადებული ლ.მ., 1968 წელს დაბადებული ი.ბ., 1978 წელს დაბადებული თ.ბ., 2000 წელს დაბადებული გ.ჩ. და 1976 წელს დაბადებული გ.მ. ჯგუფურად, პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით არიან დაკავებულნი.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები თბილისში მდებარე სასტუმროებში – „საბუდარასა“ და „არგოში“, ასევე, ამავე დაწესებულებების ბარებში სისტემატურად იკრიბებოდნენ, მფლობელის – გ.ფ.-სა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მითითებით, სასტუმროში მისულ პირებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სექსუალურ მომსახურებას უწევდნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სასტუმროების – „არგოსა“ და „საბუდარას“ ადმინისტრატორები ორგანიზებას უწევდნენ სექსუალური მომსახურების მსურველი მამაკაცებისა და პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ მიზნით, ისინი სასტუმროს ნომრებს საათობრივად აქირავებდნენ, ხოლო დაცვის თანამშრომლები პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების უსაფრთხოებას იცავდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი აღნიშნული ქალებისა და მათი კლიენტების ავტომანქანით გადაადგილებას უზრუნველყოფდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები პროსტიტუციის ხელშეწყობითა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემით სოლიდურ შემოსავლებს იღებდნენ.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკისას, დიდი ოდენობით ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ასევე, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას.

სამართალი

№28 20 ივლისი 2022 წ

ფრთხილად, აკვარიუმის კომპანია თქვენს კაბინეტებში ფარულ ვიდეოკამერებს ამონტაჟებს!

ვინ არიან ახალგაზრდები, რომლებიც მაღალჩინოსნებს პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებდნენ

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ეპოქაში არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჩვენს პირად სივრცეში ვინმე უკითხავად შემოიჭრება. რა თქმა უნდა, ეს კანონით დასჯადია, მაგრამ შესაძლოა, ისე შემოიჭრნენ, ვერაფერი გაიგოთ. პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში შევიდა მუხლი კიბერდანაშაულისა და უკანონო მიყურადება-თვალთვალის შესახებ, რომელიც წინა საუკუნეში წარმოუდგენლად ჩანდა. სახლში დამონტაჟებული ვიდეოთვალი კი არა, მეორე მსოფლიო ომის დროს დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა, ლამის, მთვარეზე გაფრენას უდრიდა (თან, მეორე მსოფლიო ომის დროს, მთვარეზე გაფრენა წარმოუდგენლად ჩანდა). ახლა კი, ნებისმიერს შეუძლია, სათანადო ცოდნის პირობებში, სხვის კომპიუტერში შეაღწიოს, სხვისი ტელეფონი „გატეხოს“, ამოიღოს და ნახოს ყველაფერი, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს კანონსაწინააღმდეგოა და, მე თუ მკითხავთ, ბევრად მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დღევანდელი კანონმდებლობა ითვალისწინებს.

დანაშაული, რომელიც ართუ შორეულ წარსულში მოხდა, იმდენად დიდი და მძიმე იყო, წესითა და რიგით, უზარმაზარი რეზონანსი უნდა გამოეწვია, მაგრამ საქმეში მაღალჩინოსნები იყვნენ გარეულნი და ამიტომ, ყველაფერი ჩუმად და მშვიდად ჩატარდა, თუმცა არა დამნაშავეთა ჯგუფისთვის, რომელმაც საოცარი გეგმა მოიფიქრა და ყველაფერი საუცხოოდ ჩაატარა.

საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული დანაშაულის გახსნის შემდეგ, საქართველოში ანალოგიური აღარ მომხდარა და საეჭვოა, მომავალში მოხდეს, რადგან ყველა მაღალჩინოსანმა იცის ამის შესახებ და თუ არ იცის, მას აუცილებლად აფრთხილებენ, რომ კონკრეტული მიმართულებით ფხიზლად უნდა იყოს.

და მაინც, რა მოხდა ისეთი, რომ საგამოძიებო უწყებამ თავიდან პირი დააღო, შემდეგ კი, როგორც იქნა, დანაშაულები ერთმანეთს დაუკავშირა და კვალსაც სწორედ ამის შემდეგ მიაგნო?

ყველაფერი ძალიან მარტივად და ბანალურად დაიწყო. ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მისაღებში წერილი დატოვეს, სადაც ეწერა, რომ თუ კონკრეტულ თანხას არ გადაიხდიდა, მისი მეუღლე მიიღებდა ვიდეოს, თუ როგორ ერთობოდა სექსით ახალგაზრდა ქალთან, საკუთარ კაბინეტში. დასახელებული იყო დრო, წუთები და წამებიც კი. წერილს ფოტომტკიცებულება არ ახლდა, მაგრამ ყველაფერი იმდენად დეტალურად იყო აღწერილი, რა ეცვა ქალს, რა ეცვა კაცს, ვინ როდის რა გაიხადა და ვინ როდის რა ჩაიცვა, რომ ადრესატი დარწმუნდა – გადაუღეს. ის თანხის გადახდას დათანხმდა და პარალელურად, კაბინეტში დაათვალიერებინა ყველაფერი, რისი დათვალიერებაც შეიძლებოდა, მოიტანა მოსასმენი აპარატურის საძებნი, თუმცა შედეგი ნული იყო. ივარაუდეს, რომ ვიდეოთვალი დროებით დაეყენეს, შემდეგ მოხსნეს და... პროფილაქტიკის მიზნით, შენობაში დამლაგებლები მთლიანად შეცვალეს.

ცოტა ხნის შემდეგ, ანალოგიური წერილი სხვა მაღალჩინოსანმაც მიიღო. ისიც დარწმუნდა, რომ ვიდეო გადაუღეს, თანხა მანაც გადაიხადა, მანაც ყველაფერი დაათვალიერებინა, მაგრამ შედეგი აქაც ნული იყო. დამლაგებლები იმ შენობაშიც შეცვალეს.

სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როცა ანალოგიური წერილი ერთ-ერთი ძალოვანი უწყების საკმაოდ გავლენიანმა პირმა მიიღო, თუმცა ამჯერად საქმე სექსსა და სიყვარულს არ ეხებოდა. წერილის ავტორი დეტალებში წერდა, როგორ მიიტანა ჩინოსანმა კაბინეტში ყუთით შავი საღამოს კაბა, როგორ მოიზომა, როგორ ტრიალებდა სარკის წინ, როგორ მოირგო აზღუდი... ძალოვანმა ცოფები ყარა, თუმცა...თანხა მანაც გადაიხადა და კაბინეტი არათუ დაათვალიერებინა, არამედ, კედლებიც კი ჩამოანგრევინა, თუმცა შედეგი ამ შემთხვევაშც ნული იყო. თანხა უცხოურ ანგარიშზე ირიცხებოდა, ოფშორში, შემდეგ კი კვალი იკარგებოდა. ყველა შემთხვევაში, საუბარი 100 ათას დოლარზე იყო.

არაოფიციალურად, საქმეში მთელი ძალოვანი უწყება ჩაერთო. მსჯელობის შემდეგ, ორი რამ დადგინდა – პირველი ის, რომ წერილების აღწერის მიხედვით, საუკეთესო შემთხვევაში, ოთახში მხოლოდ ვიდეოთვალი იყო დაყენებული და არა მოსასმენი აპარატურა და მეორე – წერილის ავტორი შეგნებულად არ აგზავნიდა ფაილს, რომ ადრესატი არ მიმხვდარიყო, კონკრეტულად, საიდან ხდებოდა გადაღება.

ოთახები კიდევ ერთხელ შეისწავლეს, მისხალ-მისხალ გაიარეს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს ანუ დამნაშავე ან ყველაფერს საუცხოოდ ნიღბავდა, ან ყველა უწყებაში ჰყავდა ვიღაც, ვინც ყველაფერ ამას აკეთებდა, ვიდეოთვალს დებდა, შემდეგ კი ხსნიდა, რაც ერთი შეხედვით, წარმოუდგენლად ჩანდა.

იმის მიუხედავად, რომ ძალოვნებმა, პრაქტიკულად, ყველა რესურსი გამოიყენეს, შედეგი არ ჰქონდათ და... სულ სხვა უწყების ჩინოსანმა ახალი წერილი მიიღო. მას წერილით აცნობეს, როგორი თავბრუდამხვევი თავგადასავალი ჰქონდა მდივანთან და რაც მთავარია, აღუწერეს მდივნის ჩაცმულობის ყველა დეტალი და ისიც კი, რომ სექსის შემდეგ, მდივანმა ოთახში სიგარეტი გააბოლა. ჩინოსანი არაოფიციალურად დაკითხეს, მომხდარსა და წერილის მიღებას შორის შუალედი ორი კვირა იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შანტაჟისტს შეეძლო, ვიდეოთვალი გაეტანა. ოთახი მაინც გაჩხრიკეს, თუმცა ამაოდ – ისევ ვერაფერი იპოვეს.

რაც შეეხება წერილს, ყოველთვის კურიერს მოჰქონდა და კურიერი მუდმივად ამბობდა, რომ ქუჩაში გააჩერა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ეკეთა სათვალე, ეხურა კეპი, წერილი ხელთათმანიანი ხელთ მიაწოდა და კონკრეტულ მისამართზე მიტანის სანაცვლოდ, 50 ლარი გადაუხადა. კურიერს ეჭვი რომ არ შეპარვოდა, წერილს მის თვალწინ ლუქავდა და ანახებდა, რომ იქ ფურცლის მეტი არაფერი იდო. კურიერის მონახვას დედაქალაქში არაფერი უნდა – ისინი მუდმივად სკუტერებით მოძრაობენ.

გამოძიება არათუ ჩიხში შევიდა, ჩინოვნიკები სიმწრით თმას იგლეჯდნენ. კურიერების აღწერით, ბიჭი 30 წლისაც კი არ იქნებოდა და ვიღაც ლაწირაკი სისტემას, რომელიც თითქოს დასავლურ თარგზე იყო მოჭრილი და ყველა ამაყობდა, თავზე ამხობდა, თუ იმხობდა. ახლიდან, სათითაოდ დაათვალიერეს ყველა ჩინოსნის კაბინეტი, ცდილობდნენ გაეგოთ, ხომ არ იყო მათ შორის რამე საერთო, ერთ-ერთმა თქვა, რომ ყველა კაბინეტში აკვარიუმი იდგა და ყველა ჩინოსანს ძვირადღირებული თევზები ჰყავდა.

ერთ-ერთი აკვარიუმი დაცალეს, ფსკერზე დალექილი კენჭები და ნიჟარები საგულდაგულოდ დაათვალიერეს და ერთ-ერთ ნიჟარაში ოსტატურად ჩამონტაჟებული ვიდეოთვალი იპოვეს. ელემენტი დაცლილი იყო და ვიდეოთვალიც გათიშული, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამომძალველი ამ ქმედებას ვერ დაინახავდა. ექსპერტიზის დასკვნით, საუკეთესო შემთხვევაში, ელემენტი 3-4 კვირას თუ იმუშავებდა ანუ გათვლა იმაზე იყო, რომ თუ ჩინოსანი რამეს დააშავებდა, ყველაზე დიდი, ეს ერთი თვის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. გაირკვა ისიც, რომ ყველა კაბინეტში, აკვარიუმი ერთმა და იმავე კომპანიამ დაამონტაჟა და თევზებიც სწორედ მან მიიყვანა. დაიწყო კომპანიის თანამშრომელთა შესწავლა, თუმცა შესასწავლი არაფერი გახლდათ – იქ მხოლოდ ერთი გოგონა და ორი ახალგაზრდა ბიჭი მუშაობდა. კურიერებს ორივეს სურათი ანახეს და გაარკვიეს, რომ საქმეში ორივე მონაწილეობდა და წერილს ხან ერთი ატანდა, ხან – მეორე.

სავარაუდოდ, საქმის კურსში იყო გოგონაც, რადგან მისი ავტომობილის ფასიდან გამომდინარე, ხელფასით ასეთ მანქანას ვერ შეიძენდა.

შემდეგ უკვე ყველაფერი მარტივად აეწყო: ერთ-ერთი ჩინოსნისთვის აკვარიუმი შეუკვეთეს, დაამონტაჟეს და როცა მონტაჟი დაასრულეს, კაბინეტში ძალოვნები შევიდნენ. ბიჭები ამას ნამდვილად არ ელოდნენ, მათ თვალწინ დაცალეს აკვარიუმი და ერთ-ერთი ნიჟარიდან ვიდეოთვალი ამოიღეს. საქმე გახსნილი იყო, მაგრამ არ იყო საჩივარი ანუ დაზარალებული, რის საფუძველზეც მათ გაასამართლებდნენ, თუმცა იქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადამოწმდა ეს კომპანია, რომელიც ჩინოსანთა კაბინეტებიდან საიდუმლო მასალების შესახებ ცდილობდა ინფორმაციის მიღებას, რაც გამორიცხული გახლდათ, რადგან შეუძლებელი იყო, წყლიდან რაიმე დოკუმენტის გარჩევა და რაც მთავარია, ვიდეოთვალი არ იწერდა ხმას.

ამის მიუხედავად, სამეული გაასამართლეს და სასჯელს ვერცერთი მათგანი ვერ გადაურჩა. სამაგიეროდ, ახლა ყველა ჩინოვნიკმა იცის, რომ თუ აკვარიუმს უკვეთავენ, ნიჟარებს თავად ყიდულობენ და თავადვე აწყობენ.

ცოლმა ბიზნესმენი ქმარი ცოფიანი დობერმანით მოაკვლევინა

უკრაინაში მცხოვრები ებრაელი მდიდრის ოჯახური ტრაგედია

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, სიტყვა „ქილერი“ 21-ე საუკუნეშიც ძალიან პოპულარულია. უცხო ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოშიც ხშირად ვხდებით შეკვეთილი მკვლელობების მოწმენი. ცოტა ხნის წინ, „ქილერის“ ხელით სიცოცხლეს ბიზნესმენი ლევან კაჭარავა გამოასალმეს. მანამდე იყვნენ სხვა ბიზნესმენებიც და სამწუხაროდ, ასეთი საქმეების გახსნა მხოლოდ ქართველ სამართალდამცავებს არ უჭირთ. არსებობს მოსაზრება, რომ გამორიცხულია ისეთი დაცვა ჰყავდეს ადამიანს, რომლის მოკვლაც შეუძლებელია, თუმცა მაინც არიან ისეთები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა „ქილერებისთვის“ მიუწვდომელნი იყვნენ. სწორედ ასეთ ბიზნესმენზე გვსურს გიამბოთ, რომელიც წარმოშობით ებრაელი გახლდათ, უკრაინაში მოღვაწეობდა და ყველაფერი ისე ჰქონდა აწყობილი, მისი მოკვლა წარმოუდგენელი იყო. ბედის ირონიით, ის საკუთარმა ძაღლმა, დობერმანმა დაგლიჯა... ისტორია უკრაინაში მცხოვრებმა ქართველმა გვიამბო, რომელსაც ბიზნესი აქვს და ერთ-ერთ კომპანიაში წილს, სწორედ ამ ებრაელ ბიზნესმენთან ერთად ფლობდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ფულის შოვნის შემდეგ, ებრაელმა ბიზნესმენმა ოდესის გარეუბანში სახლი კი არა, ნამდვილი ციხე-სიმაგრე ააგო. გარდა იმისა, რომ სახლის, პრაქტიკულად, მთლიანი პერიმეტრი დაფარული იყო და გარედან ვერტმფრენითაც კი ვერაფერს დაინახავდი, შეუძლებელი იყო იმის გარჩევაც, რომელ ავტომობილში იჯდა ბისნესმენი. ის სახლის ქვეშ, მინუს მეორე სართულზე არსებულ დაჯავშნილ ავტომობილში ჯდებოდა დაცვასთან ერთად და ტერიტორიიდან სამი ერთნაირი მანქანა ერთდროულად გადიოდა. არავინ იცოდა, რომელში იჯდა ბისნეზმენი და იგივე ხდებოდა ოფისშიც – შენობის ქვეშ არსებული ავტოსადგომიდან, ბიზნესმენი ლიფტით პირდაპირ კაბინეტში ადიოდა და შედიოდა ოთახში, რომელსაც მინები ქუჩის მხარეს არ ჰქონდა.

ასევე, დაცული იყო მისი მეუღლისა და 16 წლის შვილის უსაფრთხოებაც. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, შინ დაბრუნებული ბიზნესმენი, ეზოში გავიდა. მოულოდნელად, საკუთარი დობერმანი დაეტაკა და კბენა დაუწყო. სანამ დაცვა აზრზე მოვიდა და გავეშებული ცხოველი მოკლა, დობერმანმა პატრონისთვის ყელში კბენა მოასწრო და საძილე არტერია დაუზიანა. ბიზნესმენი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ძაღლს ექსპერტიზა ჩაუტარდა და აღმოჩნდა, რომ ცოფიანი იყო. არადა, ოჯახი ამტკიცებდა, ცოფზე აცრილი გვყავდაო, თუმცა ვეტექიმებმა თქვეს, რომ იშვიათად, მაგრამ ცოფზე აცრილი ცხოველები მაინც ცოფდებიან. ყველაფერი ეს, უბედურ შემთხვევას მიეწერებოდა, რომ არა ორ კვირაში მომხდარი უბედური შემთხვევა. ბიზნესმენის სახლიდან, დაახლოებით, ნახევარ კილომეტრში, ადგილობრივი „ბომჟი“ გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტიზა ზერელედ, მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარდა, თუმცა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ „ბომჟი“ ძვირადღირებული საწამლავით მოწამლეს. ეს უკვე გარკვეულ ეჭვს ბადებდა და რაც მთავარია, გარდაცვლილის მეგობარი, ასევე, ლოთი ამბობდა, რომ ის კი არ მოწამლეს, არამედ, ცოფიანი დობერმანის სულმა წაიყვანა.

დობერმანის ხსენებამ სამართალდამცავები დაინტერესა. საქმე ის გახლდათ, რომ მოსახლეობა ცოფიანი დობერმანის მოკვლის შემდეგ ჩიოდა, მისი სული დაძრწის უბანში, ღამით ყმუის და მოსახლეობას აშინებსო. ბევრი ამბობდა, დობერმანის აჩრდილს თვალიც კი მოვკარიო, მაგრამ ლოთის ჩვენება ყველასგან განსხვავებული იყო – ის ამტკიცებდა, დობერმანს თვალი კი არ მოვკარი, ორიოდე დღის წინ, როცა გარდაცვლილთან ერთად, მის ფიცრულში ვსვამდით, დობერმანი იქვე იყო და ვეფერებოდი კიდეცო.

სიმთვრალის მიუხედავად, ლოთი ამას ჯიუტად იმეორებდა და ძალოვნებმაც ფიცრულის დათვალიერება გადაწყვიტეს. ჰოი, საოცრებავ, იქ ნამდვილად იპოვეს ძაღლის ბალანი და ექსპერტიზის შემდეგ დადგინდა, რომ ძაღლი ძალიან მოვლილი და პრაქტიკულად, ყველაფერზე აცრილი იყო. ასეთი ოთხფეხა მეგობარი კი ლოთს არ ეყოლებოდა. ჰო, გარდაცვლილს კუჭში საკვების ნარჩენებიც უპოვეს და ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სიკვიდლის წინ... ცხვრის მწვადი მიირთვა, რაც ლოთისთვის წარმოუდგენელი ფუფუნება იყო. ლოთი გამოაფხიზლეს და ახლიდან დაკითხეს, მაგრამ გამომძიებლებს აუხსნა, რომ თუ ნასვამი არ იქნებოდა, ვერაფერს გაიხსენებდა, ამიტომ კეთილი ინებეს, არაყი უყიდეს, ისევ დაათვრეს და ახლიდან დაკითხეს.

„არ ვიცი, რას აპირებდა, მაგრამ ჩემს მეგობარს იმ დობერმანის გაყიდვა სურდა, ამბობდა, ისეთი კლიენტი მყავს, ასი ათას დოლარს იხდისო. მე კლიენტი არ მინახავს, მაგრამ დღე-დღეზე ელოდა და, ალბათ, ფულის გამო მოკლეს“, – თითქოს გაუგებრად, მაგრამ ძალიან საინტერესოდ საუბრობდა პოლიციის ხარჯზე დამთვრალი კაცი.

სამართალდამცავებს მანამდეც ეჭვი ეპარებოდათ, რომ ებრაელი ბიზნესმენის გარდაცვალება შემთხვევითი არ იყო და ეს, იმის მიუხედავად, რომ ვიდეოთვალზე თავად ნახეს, როგორ ეცა დობერმანი პატრონს, როგორ მოვარდა დაცვა და როგორ მოკლა ძაღლი თავში დამიზნებით, როგორ ოპერატიულად გააქანეს „ბოსი“ საავადმყოფოში, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გაჩნდა ეჭვი, რომ ბიზნესმენს ძაღლი შეუცვალეს ანუ მეპატრონის ძაღლი ეზოდან გაიყვანეს, მის ნაცვლად, ცოფიანი დობერმანი მიიყვანეს, რომელმაც პატრონი იმსხვერპლა კიდეც, მაგრამ სად უნდა მოეძებნათ იმხელა დასახლებაში დობერმანი, რომელიც სახლს რატომღაც არ ეკარებოდა? ღამის მორიგეობებმა შედეგი არ გამოიღო და ძალოვნებს მხსნელად ქალი კოლეგა მოევლინათ, რომელმაც ღიმილით უთხრა – ძაღლების ნებისმიერ თავშესაფარში წადით, იპოვეთ ძუკნა, რომელიც ატეხილი იქნება, მიიყვანეთ იმ უბანში და მარტო დობერმანი კი არა, მთელი უბნის „ვაჟკაცი“ ძაღლები მოვლენ სუნზეო. ასეც მოიქცნენ და მართლაც, დობერმანი გამოჩნდა, რომელიც მალევე დაიჭირეს. ძაღლის დათვალიერების შემდეგ, აღმოაჩინეს,რომ მას ტანზე, რამდენიმე ადგილას, ელექტროშოკით მიყენებული დაზიანებები ჰქონდა. მივიდნენ ბიზნესმენის მეუღლესთან და სთხოვეს, ძაღლისთვის დაეძახა, რათა დარწმუნებულიყვნენ, მართლაც მათი ცხოველი იყო თუ არა. მეუღლემ ძაღლს სახელით მიმართა, თუმცა ის ადგილიდან მოწყდა და სხვა მხარეს გავარდა. სამაგიეროდ, როგორც კი ბიზნესმენის შვილმა დაუძახა, მაშინვე მიეახლა და თამაში დაუწყო. ეჭვი არ იყო, ძაღლი შეცვალეს, მაგრამ ვინ და რატომ? რატომ გაურბოდა მეუღლეს ცხოველი და რატომ მიდიოდა ბავშვთან?

სახლის ჩხრეკამ შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, ბიზნესმენის ცოლის ტელეფონის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ის დაცვის ერთ-ერთ წევრს საეჭვოდ ხშირად ესაუბრებოდა. მართალია, ქალმა თავი იმართლა, დაცვაა და პარალელურად, მძღოლიო, მაგრამ სმს-ების გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ მათ ბევრად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ქალი და დაცვის წევრი დააკავეს და დაკითხვაც დაიწყო.

თავიდან ორივე მტკიცედ იდგა ერთსა და იმავეზე, მაგრამ როცა დაცვის წევრს უთხრეს, ქალს დიდი ფული აქვს, თავს დაიძვრენს და ყველაფერს შენ დაგაბრალებსო, ალაპარაკდა.

„ვაღიარებ, რომ მასთან სასიყვარულო ურთიერთობა მქონდა. სწორედ მან მითხრა, საოცარი იდეა მაქვს, როგორ მოვიშორო ქმარი, როგორ გავხდე შენი ცოლი და მთელი ქონება ჩვენი იყოსო. არ ვიცი, სად ამოიკითხა, მაგრამ როგორც თავად მითხრა, სადღაც ნახა, როგორ შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, თუ ცოფიან დობერმანს ვიშოვიდით. სპეციალურად ვიყიდეთ ზუსტად ისეთი ძაღლი, როგორიც შეფს ჰყავდა, გავუკეთეთ ცოფის ვაქცინა და თან, ნამდვილ ძაღლს ქალი ყოველ დღე, ელექტროშოკით უმასპინძლდებოდა, რათა მას სახლი შესძულებოდა. გეგმა ასეთი იყო, ნამდვილი დობერმანი უნდა გაგვეგდო, მერე გვეპოვა და მოგვეკლა. მაშინვე მოკვლა არ გამოდიოდა, ამის დრო არ იყო. ცოფიანი ძაღლი მე მოვიყვანე მანქანით და ეზოში გავუშვი, ნამდვილი ისევ მე წავიყვანე. შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა და როცა ნამდვილი დობერმანის ძებნა დავიწყეთ, აღმოვაჩნეთ, რომ ის იმ ლოთს ჰყავდა შეფარებული. რომ ვუთხარი, მომყიდე-მეთქი, ჯერ დამთანხმდა, მერე დაფიქრდა და ჩემდა გასაოცრად, ყველაფერს მიხვდა. ასი ათასი მოითხოვა და დავთანხმდი, შემდეგ საწამლავით, სასმელითა და ბატკნის მწვადით მივადექი მეორე დღეს. რომ მოიწამლა, მიხვდა და გაქცევა დააპირა. ბევრი ვერ ირბინა, მალევე მოკვდა, ძაღლი კი მაინც გამექცა. სულ ეს არის“, – დაასრულა მოყოლა დაცვის წევრმა.

სასამართლომ დამნაშავეებს 10-10 წელი ჩამოურიგა, თუმცა ამბობენ, რომ შვილმა დედას დანაშაული აპატია და ახლა ყველაფერს აკეთებს, რომ ციხიდან დაიხსნასო.

ბათო ჯაფარიძე

შურისძიება ისეთი რამაა, შეიძლება, შესაფერის დროს მთელი ცხოვრება ელოდო, მთელი შეგნებული ცხოვრება და ბოლოს, როცა მომენტი ჩაგივარდება, შური იძიო. ამიტომ, ნურასდროს გააბრაზებთ ადამიანებს ისე, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში, მიზნად შურისძიება ჰქონდეთ. მუდმივი არაფერი და ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ჩინიანსაც და უჩინოსაც...

80 წლის მამაკაცი ძილის წამლით გაგუდეს და სასქესო ორგანოში დაჭრეს

როგორ იძია გერმა შური მამინაცვალზე

„80-იანი წლების გარიჟრაჟი, თითქოს, საბჭოთა კავშირისთვის იდეალური იყო. რაც მთავარია, ქვეყანაში ძალიან მოიკლო კრიმინალმა და ეს იმიტომ კი არა, რომ კრიმინალების რიცხვი შემცირდა, არამედ, ძალიან გამოცდილი მაძებრები იყვნენ კონკრეტულ ადგილებში და საქმეებს მარტივად ხსნიდნენ. ამასთან, მძიმე დანაშაულებმაც აშკარად იკლო, რადგან ადამიანები სულ უფრო მეტად ენდობოდნენ მილიციას და რაც მთავარია, თითქმის არავის ერიდებოდა და ეთაკილებოდა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. ამიტომ, როცა მკვლელობის შესახებ შემოვიდა განცხადება, კოლეგებმა ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადავხედეთ. საქმეზე ჩემი გასვლა ბრძანეს, რადგან უცნაური სუნი ასდიოდა, რაზეც მკვლელობის ფორმა მეტყველებდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულ სამართალდამცავებს, მართლაც, უცნაური სურათი დახვდათ. გარდაცვლილი იყო 80 წელს მიღწეული კაცი, რომელსაც დანა სასქესო ორგანოს მიდამოებში ჰქონდა ჩარტყმული, დანაზე კი წითელი თუმნიანი იყო წამოცმული (ვისაც არ ახსოვს, კომუნისტების დროს, 10-მანეთიანი მოწითალო ფერის გახლდათ და ზედ, როგორც ყველა სხვა კუპიურას, ლენინის თავი ეხატა). რა თქმა უნდა, მკვლელმა ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა და რისთვისაც აკეთებდა, ძალოვნებს კი თავი უნდა ემტვრიათ.

გასაკვირი კიდევ ის იყო, რატომ არ გაუწია გარდაცვლილმა წინააღმდეგობა მკვლელს, რადგან ასაკის მიუხედავად, ლოგინზე, სადაც იწვა, ბრძოლის კვალი არ შეინიშნებოდა. ამის პასუხი ექსპერტიზამ გასცა – მამაკაცს ცხენის დოზა დასაძინებელი ჰქონდა მიღებული და ეს წამალი მაყვლის კომპოტთან ერთად მიიღო, სავარაუდოდ, უგონოდ დაეძინა და სწორედ მერე დაარტყეს დანა. ექსპერტებმა ისიც თქვეს, გარდაცვალების მიზეზი სწორედ დასაძინებელი წამლის დიდი დოზაა, დანა რომც არ დაერტყათ, მაინც მოკვდებოდაო, თუმცა ჭრილობის გამოც, საკმაოდ ბევრი სისხლი დაკარგა.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებლებმა გარდაცვლილის ვინაობა მეზობლებისგან მალევე შეიტყვეს და მისი ისტორიის შესწავლა დაიწყეს. მამაკაცი ჩვეულებრივი პენსიონერი იყო, თავს ძლივს ირჩენდა, პატრონი არ ჰყავდა და მას შემდეგ, რაც ათი წლის წინ, მეუღლე გარდაეცვალა, ჰიგიენის სერიოზული პრობლემებიც გაუჩნდა, გაურეცხავი ტანსაცმლით დადიოდა, ჭუჭყის სუნი ასდიოდა და მეზობლებიც მასთან სტუმრად, პრაქტიკულად, არასდროს მიდიოდნენ. გვამი კი მალევე, მხოლოდ იმ მიზეზით იპოვეს, რომ საღამოს, მეზობელს შესასვლელი კარი დახვდა შეღებული და როცა დაძახილზე არავინ გამოხედა, ბინაში შევიდა და ის სურათი დახვდა, რომელიც სამართალდამცავებმაც ნახეს.

ძველმა მეზობლებმა ისიც თქვეს, რომ ამ ბინაში ქალი ცხოვრობდა, რომელიც გოგონას ზრდიდა, შემდეგ ქმარი გარდაეცვალა და მეორედ, სწორედ ამ კაცზე გათხოვდა, სხვა შვილი არ ჰყოლიათო. ისიც გაირკვა, რომ როცა გოგონა გაიზარდა, ტექნიკუმში ჩააბარა, მალევე გათხოვდა და მას შემდეგ, დედასა და მამინაცვალს იშვიათად აკითხავდა. დედის გასვენებაში იყო ჩამოსული, ოღონდ მხოლოდ გასვენებაში, მოიმიზეზა, გვიან შემატყობინეს, ჩამოსვლა ვერ მოვახერხეო. ჰოდა, იმ ქალს კარგად არავინ იცნობდა, მხოლოდ ერთ მეზობელს ჰქონდა ტელეფონის ნომერი და ურეკავდა ხოლმე, თუ რამე ხდებოდა სამეზობლოში. სწორედ ამ ქალს სთხოვეს სამართალდამცავებმა მისი კოორდინატები და მანაც უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები, მე კი მოგცემთ, მაგრამ ღვიძლ დედაზე არ შეიწუხა თავი, მამინაცვალზე ხომ საერთოდ, არაფერს იზამს, შესაძლოა, ბინის გამო გამოჩნდესო.

გამომძიებლები ჩაეკითხნენ და გაარკვიეს, რომ დედის გარდაცვალებიდან ორ საათში, შვილმა ყველაფერი ეს იცოდა და რაში დასჭირდა იმის თქმა, რომ მხოლოდ გასვენების დღეს გაიგო ყველაფერი, მეზობლის ქალი ვერ ხვდებოდა. ეს უკვე საინტერესო იყო და ძალოვნები მოკლული კაცის გერს შინ ეწვივნენ.

„მამის როლი არასდროს გაუწევია, უფრო დედის ქმარი იყო, ვიდრე მამაჩემი. ამიტომ, მისი გარდაცვალებით არც ნაწყენი ვარ, არც – გახარებული, სულ ერთი იყო ყოველთვის და ახლაც სულ ერთია. ვინც ფიქრობს, რომ ბინას დავხარბდები, ძალიან ცდება, შეუძლიათ, ის ბინა სახელმწიფოს მისცენ, ან რომელიმე მეზობელმა წაიღოს, არ მაინტერესებს, არც გასვენებაში მოვალ“, – განაცხადა ქალმა და გაიოცა, როცა უთხრეს, მეზობლის ქალმა დედის გარდაცვალება მალევე გაგაგებინა და მხოლოდ გასვენებაში რატომ მიხვედიო?!

როგორც მოკლულის გერმა ახსნა, მეზობელს, ალბათ, რაღაც აერია, რადგან გასვენების დღეს, დილით დაურეკა და დედის დასაფლავებას ძლივს მიუსწრო.

ექსპერტებმა სახლში უცხო ადამიანის თითის ანაბეჭდი ვერ აღმოაჩინეს, იყო რამდენიმე ადგილი, რომელიც საგულდაგულოდ გახლდათ გაწმენდილი ანუ მკვლელმა ყველაფერი საგულდაგულოდ გაასუფთავა. ისე გამოდიოდა, რომ მოტივი არავის ჰქონდა, გარდაცვლილის გერს ქმარ-შვილი ჰყავდა, თავზე არ გადასდიოდა, მაგრამ თავად ამბობდა, ბინის ინტერესი არ მაქვს, თუნდაც სახელმწიფომ წაიღოსო. მამინაცვალი და დედა გულზე რომ არ ეხატებოდა, ცხადი იყო, მაგრამ რამდენ შვილსაც მშობელი არ მოსწონს, იმდენმა თუ ხოცვა-ჟლეტვა დაიწყო, შორს ვერ წავალთ.

გვარიანი ძიების შემდეგ, მოკლულს და და დისშვილიც აღმოაჩნდა, რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ. როცა გააგებინეს, თქვენი ნათესავი მოკვდაო, ისინი გაოცდნენ, წლებია, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ვთვლიდით, არც კი ვიცოდით, ცოცხალი თუ იყო, ყიამყრალი კაცი გახლდათ, ვიღაც ბავშვიან ქალს იყო გადაკიდებული, მერე გაქრა, ერთხელ დარეკა, მოგვიკითხა და ეგ იყო, მერე არც ჩვენ მოგვიძებნიაო. ეს ძაფიც გაწყდა ანუ რამე ინტერესი არც დას და არც დისშვილს გააჩნდათ და როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ექსპერტიზამ გამოძიებას მორიგი ვერსია შესთავაზა. ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ მაყვლის კომპოტში მცირე ოდენობით ალუჩის წვენიც იყო. ასეთი ფორმით კომპოტს იშვიათად აკეთებდნენ და აკეთებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ წვენს პიკანტური გემო და საინტერესო სიმჟავე ჰქონოდა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა ყოფილიყო, თუ გამომძიებლები იპოვიდნენ მას, ვისაც შინ მაყვლისა და ალუჩის კომპოტის ნარევი ჰქონდა, მკვლელობასაც გახსნიდნენ. ამიტომ, ისევ გარდაცვლილის სამეზობლოს მიადგნენ. მაშინ კომპოტები და მურაბები, პრაქტიკულად, ყველა დიასახლისს ჰქონდა ზამთრისთვის გადანახული, მაგრამ ასეთი შემადგენლობით ვერავინ იხსენებდა. მეტიც, თემა იმდენად გახმაურდა, რომ მაძებრებმა დრო არ დაკარგეს და ერთი-მეორის მიყოლებით, ორდერის გარეშე, ყველა სარდაფი გაჩხრიკეს. ძებნა მარტივი იყო – მაყვლის მუქ შეფერილობას ბევრი ძებნა არ სჭირდებოდა და ალუჩაც თუ იყო შიგნით, ადვილად გამოჩნდებოდა. ასეთს ვერაფერს მიაგნეს, სამაგიეროდ, არაერთმა თადარიგიანმა დიასახლისმა... კომპოტის ახალი რეცეპტი და კომბინაცია საგულდაგულოდ მოინიშნა.

„ასეთ მკვლელობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოტივი, ჩვენ კი მინიშნებაც არ გვქონდა მოტივზე და ეს გვაგიჟებდა. ამიტომ, სხვა გზა არ იყო, ისევ ნათესავების დამუშავებას შევუდექით და თუ ერთი ჯგუფი დის და მისი შვილის გარემოცვას სწავლობდა, მეორე ჯგუფი გერის ცხოვრების ძირეული შესწავლით დაკავდა. სწორედ ძირეულმა შესწავლამ მიგვიყვანა შედეგამდე“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გერის სამეგობროდან მასზე ცუდი არავის არაფერი უთქვამს. ერთ-ერთმა დაქალმა, ჯვარედინი დაკითხვებით გული რომ შეუწუხეს, გაბრაზებით თქვა, ბოღმიანი და ბოროტი კი არა, ისეთი კეთილია, ლამის, მთელ სადაქალოს გვეხმარება ზამთრის კონსერვების გაკეთებაში, თან იმდენად უცნაურ კომბინაციებს აკეთებს, ყველას გვიკვირს და მაგალითად, დარწმუნებული ვარ, თუთის მურაბა ლიმნის ქერქებით გასინჯული კი არა, გაგებულიც არ გექნებათო. გამომძიებელმა მურაბის შემადგენლობა შეიცხადა, მერე თავად ჩამოთვალა, რა ჰქონდა გაგებული და ალუჩა-მაყვლის კომბინაციაც ახსენა, რაზეც დაქალმა ტაში შემოჰკრა, ჩემი მეგობარიც აკეთებსო. სამართალდამცავები ქალს ჩხრეკის ორდერით დაადგნენ და რამდენიმე ქილა სწორედ ის კომპოტი უპოვეს, რომელიც კაცის დასაძინებლად გამოიყენეს. შემდეგ მისი ალიბი ახლიდან და საფუძვლიანად გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ მეგობრები, უბრალოდ, ხელს აფარებდნენ. ალიბის არქონა უკვე ბრალის აღიარების ტოლფასი იყო.

„დედაჩემი მეორედ რომ გათხოვდა, 12 წლის ვიყავი. 15 წლის გახლდით, როცა მთვრალმა მამინაცვალმა ჩემზე პირველად გამოიწია. დედას ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა. მერე და მერე, ვცდილობდი მასთან მარტო არ დავრჩენილიყავი, მაგრამ სად უნდა გავქცეულიყავი, დედა მუდმივად სახლში არ იყო. ასე გამაუპატიურა ერთხელ, მეორედ... მერე, დედა რომ დაიძინებდა, ჩემთან შემოდიოდა ოთახში და ძალადობდა. გვიან მივხვდი, დასაძინებელ წამალს მაძლევდა. როგორც კი სკოლა დავამთავრე, სახლიდან კი არ წავედი, გავიქეცი. გავთხოვდი და მომავალ ქმარს ყველაფერი გულახდილად ვუთხარი. ხმა არ ამოუღია. დედის გასვენებაც ამიტომ არ მაინტერესებდა, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი, არც ის მაინტერესებდა, თუმცა მაინც მივედი, ჭორაობას მოვერიდე. მამინაცვალიც ვნახე, მომატირა, ახლა შენ უნდა მიპატრონოო. რა თქმა უნდა, მისკენ არც გამიხედავს, მაგრამ... რამდენიმე დღის წინ, ქმარი მთვრალი მოვიდა სახლში, მე ცუდად ვიყავი, იმან გამოიწია და ჩვენი თანაცხოვრების განმავლობაში პირველად, ძალა იხმარა. ყველაფერი თვალწინ დამიდგა, ორი დღე გული მერეოდა, ქმარიც კი შემძულდა და მივხვდი, ის კაცი უნდა მომეკლა. კომპოტში დასაძინებელი გავურიე, ახლიდან დავხუფე და შებინდებულზე დავადექი. მოგივლი-მეთქი, ოღონდ ბინა უნდა დამიტოვო-თქო. გაუხარდა, ეგონა, მართლა ბინისთვის მივედი. კომპოტს ხარბად სვამდა, მალევე დაეძინა. მერე გავაკეთე ის, რაც გავაკეთე და მომეშვა. რაც დათესა, სწორედ ის ნაყოფი მიიღო. რაც შეეხება ათმანეთიანს... რომ გამაუპატიურებდა, მაძლევდა ხოლმე, შენთვის რამე იყიდეო. ჰოდა, ისიც დავუბრუნე“, – დაასრულა ქალმა მოყოლა.

სასამართლოზე მკვლელმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, მართლა აუპატიურებდა თუ არა ბავშვობაში მამინაცვალი, ამიტომ ეს შემამსუბუქებელ გარემოებად არ ჩაუთვალეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

NATO-მ საქართველოს ალიანსის საზღვაო უსაფრთხოების ოპერაცია „ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის სტატუსი მიანიჭა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკურმა ქვედანაყოფებმა წარმატებით დაასრულეს NATO-ს ოთხდონიანი შეფასება, რის შემდეგაც ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ საქართველოსთვის ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე ოპერაციის – „ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაცია „ზღვის მცველი“ (MSO SEA GUARDIAN) 2016 წლის ნოემბერში ამოქმედდა და 2001-2016 წლებში მიმდინარე NATO-ს მე-5 მუხლის ქვეშ მოქმედი საზღვაო ოპერაცია – „აქტიური ძალისხმევა“ (Operation Active Endeavor) ჩაანაცვლა.

ოპერაცია „ზღვის მცველი“ ალიანსის საზღვაო ძალების ერთადერთი საზღვაო ოპერაციაა, რომლის სამოქმედო არეალიც ხმელთაშუა ზღვას მოიცავს.

ოპერაციის მთავარი მიზანია ზღვაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საფრთხეებზე დროული რეაგირება. აღნიშნული ოპერაცია ზღვაზე ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მცდელობის აღკვეთაზეა ორიენტირებული.

2016 წელს, საქართველომ NATO-ს ძალთა რეზერვში (Pool Of Forces) შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ტაქტიკური ჯგუფების გაწევრიანების შესახებ ოფიციალურად განაცხადა და NATO-ს მიერ დადგენილი შეფასებების სტანდარტების თანახმად, აღნიშნული ჯგუფების მომზადება დაიწყო. მას შემდეგ, რაც კანონაღსრულების ტაქტიკურმა ჯგუფებმა წარმატებით დაასრულეს NATO-ს შეფასების ოთხწლიანი პროგრამა, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ საქართველო ოპერაცია „ზღვის მცველში“ ოპერაციულ პარტნიორად აღიარა.

ეს გადაწყვეტილება NATO-ს საზღვაო ძალების სარდლობასა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვას შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების ახალი ეტაპის დასაწყისს წარმოადგენს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ სანაპირო დაცვის დღე აღნიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დაარსებიდან 24 წელი შესრულდა. სანაპირო დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოთში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე, სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ შარაძემ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან, I რანგის კაპიტან რამაზ პაპიძესთან ერთად გახსნა.

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს სანაპირო დაცვის დღე მიულოცა.

„დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დღეა. ვულოცავ მთელ პირად შემადგენლობას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა დიდ როლს ასრულებს, როგორც ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე, საერთაშორისო საზღვაო ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სანაპირო დაცვამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკურმა ჯგუფებმა წარმატებით გაიარეს ნატოს შეფასების ოთხწლიანი პროგრამა, რის შედეგადაც ალიანსმა საქართველოს ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის – „ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის სტატუსი მიანიჭა“, – განაცხადა სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ შარაძემ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 16 თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოვა.

ნიკოლოზ შარაძემ, სტუმრებთან ერთად, გვირგვინით შეამკო 2008 წლის აგვისტოს ომში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების მემორიალი.

შს მინისტრის მოადგილე საგანგებო სიტუაციების კოორდინირებული მართვის შესახებ უწყებათშორისი სემინარის დახურვის ღონისძიებას დაესწრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ორგანიზებულ უწყებათაშორის სემინარში – „საქართველოს ეროვნული რეაგირების ჩარჩო“.

სწავლების დახურვის ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც მონაწილეებს კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გარდა, სემინარში მონაწილეობდნენ: თავდაცვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროების, საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ხუთდღიანი სწავლება ქბრბ უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პროგრამის (CSCEP) ფარგლებში ჩატარდა. ტრენინგი მიზნად ისახავდა საგანგებო სიტუაციების დროს, უწყებათშორისი კოორდინაციის მექანიზმების დახვეწას, ინციდენტებზე რეაგირების, რისკების შეფასებისა და მასთან ასოცირებული პროცედურების შესახებ ამერიკული გამოცდილების გაზიარებას. კურსს აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს მიერ მოწვეული ამერიკელი ექსპერტები უძღვებოდნენ.

სწავლების ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საგანგებო სიტუაციებზე პირველადი მორეაგირე უწყებების როლი და პასუხისმგებლობები, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზაციული მოდელები, ფართომასშტაბიანი ინციდენტების მართვა, უწყებათშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება და სხვ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან (DTRA) მრავალი წელია აქტიურად თანამშრომლობს, ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით. სააგენტოს აქტიური მხარდაჭერით, არაერთი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ითვალისწინებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნიკურ აღჭურვასა და უწყების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ა.ი. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 14 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ქესალოში, მიწის ნაკვეთის საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, თანასოფლელი, 1958 წელს დაბადებული ტ.ე., სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი მოგვიანებით სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

იტალიელები კვარაცხელიას „ოქროს ბიჭს“ ეძახიან, ჩვენ კი...

ხვიჩა კვარაცხელიამ „ნაპოლიში“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. ნეაპოლელებს ამჯერად ბევრად სერიოზული მეტოქე ჰყავდათ „პერუჯას“ სახით. ლუჩანო სპალეტიმ პირველ და მეორე ტაიმში განსხვავებული შემადგენლობა ათამაშა ანუ თერთმეტეული მთლიანად შეცვალა. ხვიჩას თამაში პირველ ნახევარში მოუხდა და მეხუთე წუთზე, ულამაზესი დრიბლინგი და თანაგუნდელთან გათამაშებული კედელი გოლით დაასრულა. აბსოლუტურად ყველა იტალიურმა გამოცემამ დაწერა, რომ ნეაპოლელებმა ხელში „ოქროს ბიჭი“ ჩაიგდეს და კვარაცხელია სერია A-ში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე იქნება.

„ბურთს კარგად ვფლობდით. კვარამ პირველ ტაიმში ხარისხი უზრუნველჰყო. ის ღირსეული შემცვლელია ისეთი ჩემპიონისთვის, როგორიც ინსინეა“, – ეს სიტყვები ნამატჩევს, „ნაპოლის“ თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ თქვა.

ჰოდა, სანამ აპენინელებს ჩვენებური ცამდე აჰყავთ და საქებარ სიტყვებს არ იშურებენ, საქართველოში გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც კვარაცხელიას აკრიტიკებენ. მიზეზი კი, მის მიერ პრესკონფერენციაზე კონკრეტულ კითხვაზე გაცემული კონკრეტული პასუხია. მავანთ ეს არ მოეწონათ და სიტყვა-სიტყვით, შელამაზების გარეშე, გთავაზობთ იმ კითხვასა და პასუხს სრულად, რომლის გამოც აჟიოტაჟი ატყდა.

კითხვა: „რუსეთი დატოვე მაშინ, როცა ომი იყო. რას ფიქრობ რუსეთზე და იმ გუნდზე, სადაც თამაშობდი?“

პასუხი: „ვფიქრობ, ეს ცოტა რთული საკითხია, უფრო პოლიტიკური შეკითხვაა, ჩემი აზრით. გუნდი იმიტომ დავტოვე, რომ საჭიროება მოითხოვდა და წამოვედი საქართველოში სათამაშოდ. ვფიქრობ, ჩემი ქვეყნის გამო, ასე ვთქვათ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე და ამიტომ დავტოვე. უფრო პოლიტიკური შეკითხვაა“.

სულ ეს იყო. კითხვის სისწორეზე ანუ რამდენად ზუსტად თარგმნა ქართველმა გოგონამ, თავს ვერ დავდებთ, რადგან ბევრი რამ აერია, მაგრამ კვარაცხელიამ ქართულად ზუსტად ეს პასუხი გასცა, არც მეტი, არც ნაკლები. და რა უნდათ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ პასუხის გამო, ხვიჩას აკრიტიკებენ? წამომხტარიყო და „პუტინ ხუილო“ ეყვირა, თუ „სლავა უკრაინი?!“ კვარაცხელია 21 წლის ფეხბურთელია, ფეხბურთის სათამაშოდაა წასული იტალიაში და არა პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად. მან თავისი დამოკიდებულება ომის დაწყებიდან მალევე გამოხატა, რუსეთიდან წამოვიდა და ბათუმის „დინამოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება თარჯიმანს, ეგებ, იქაურმა საელჩომ ისეთი თარჯიმანი უზრუნველჰყოს, ვინც ფეხბურთში თუ არ ერკვევა, სტადიონთან ახლოს მაინც ჩაუვლია. როცა იტალიელმა ჟურნალისტმა ხვიჩას ჰკითხა, ჩვენს მიერ შერქმეულ მეტსახელზე, „კვარადონაზე“ რას იტყვიაო, თარჯიმანმა თარგმნა და დაა-ყოლა, ხვიჩა, იცოდე, დონა იტალიურად ქალს ნიშნავს და მე ვერ ვხვდები, „კვარადონა“ რატომ შეგარქვესო. „ნაპოლის“ სტადიონის შესასვლელთან, ლეგენდარული არგენტინელის ძეგლი დგას და ეს სტადიონიც დიეგო მარადონას სახელს ატარებს, ფეხბურთელის, რომელზე დიდსაც, არც „ნაპოლიში“ უთამაშია ოდესმე და არც მსოფლიოს სხვა კლუბში. ამას თარჯიმანი რომ ვერ ხვდება, თან ნეაპოლში, ის საფეხბურთო პრესკონფერენციაზე თავადაც არ უნდა მივიდეს.

ძიუდოისტებმა ზაგრებიდან ხუთი მედალი წამოიღეს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, ძიუდოისტთა შორის, მორიგი გრან-პრი გაიმართა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებულად იასპარეზა და ხორვატიიდან ხუთი მედლით დაბრუნდა. ბრინჯაოს მედლები გიორგი სარდალიშვილმა (-60კგ.) და ტატო გრიგალაშვილმა (-81კგ.) მოიპოვეს, ვერცხლის მედალს ილია სულამანიძე (-100კგ.) და ეთერ ლიპარტელიანი (-57კგ.) დასჯერდნენ, ხოლო -90კგ-ში პირველობა არავის დაუთმო ბექა ღვინიაშვილმა.

სამწუხაროდ, უმედლოდ დარჩა საუცხოო ფორმაში მყოფი გელა ზაალიშვილი. თავად განსაჯეთ, გელამ მეოთხედფინალში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლუკაშ კრპალეკი გააკრა ბეჭებზე, თუმცა შემდეგ ბრძოლაში, აკრძალული ილეთის გამოყენების გამო, შეჯიბრიდან საერთოდ მოხსნეს.

„ბარსელონამ“ 34 წლის ლევანდოვსკი 50 მილიონად იყიდა

მართალია, რობერტ ლევანდოვსკიმ მიუნხენის „ბაიერნის“ რიგებში 375 მატჩში 344 გოლი გაიტანა და 72 საგოლე გადაცემაც შეასრულა, მაგრამ მის სანაცვლოდ, ამხელა თანხის გადახდა არა მარტო ევროპელ ექსპერტებს, არამედ, ჩვენც შეცდომად მიგვაჩნია. არადა, სწორედ ამდენი დაუჯდება „ბარსელონას“ პოლონელი ფორვარდი. გარიგება უკვე შედგა, ლევანდოვსკი კატალონიელებთან 3+1 სისტემით კონტრაქტს მოაწერს ხელს და გუნდს ამერიკაში შეუერთდება.

„ბარსას“ სამწვრთნელო შტაბს ძალიან უხარია ასეთი დონის ფორვარდის დამატება, მაგრამ რამდენად მოახერხებს ამ ასაკში, ასეთი დონის კლუბში ასპარეზობას პოლონელი თავდამსხმელი, მალე გამოჩნდება. ისე კი, ჯერ ლუის სუარესის, შემდეგ კი ლიონელ მესის წასვლის შემდეგ, „ბარსელონას“ გამტანი ფეხბურთელის პრობლემა მწვავედ რომ უდგას, ფაქტია და ამ პრობლემის მოგვარებას, სწორედ ლევანდოვსკის საშუალებით აპირებს.

ევროკავშირის მსგავსად, არც ექვს ერში გვიშვებენ

რამდენიც არ უნდა გავმიჯნოთ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან, ფაქტია, ეს ორი სფერო გადაჯაჭვულია. არც დიდი სპორტია პოლიტიკის გარეშე და პირიქით, დიდი პოლიტიკა სპორტის გარეშე, იშვიათად გამოსულა.

გასულ კვირას, საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ტესტ-მატჩში იტალიას მოუგო, ნაკრებს, რომელიც ექვს ერში გამოდის. ქართული რაგბის ისტორიაში, ექვსი ერის წარმომადგენელი პირველად დავამარცხეთ და გაჩნდა იმის იმედი, რასაც წლებია, ქართველი გულშემატკივარი ითხოვს და ელოდება ექვს ერში ანუ ელიტაში მიღებას. აქამდე, მსოფლიო თუ ევროპული რაგბის მამები გვამუნათებდნენ, რა პრეტენზია გაქვთ, ექვსი ერის ერთ წარმომადგენელს მაინც მოუგეთ და მერე ვილაპარაკოთო, აჰა, მოვუგეთ, დამაჯერებლად მოვუგეთ, ძალიან მაგარი თამაშით მოვუგეთ და გულისფანცქალით ველოდით ევროპული ოფიციოზის კომენტარს.

„ვულოცავ ყველას, ვისაც ქართულ რაგბისთან კავშირი აქვს. უკვე არაერთ შეჯიბრზე ვნახეთ ელიტარული რაგბი ქართველების შესრულებით და იმედი მაქვს, ზრდას განაგრძობენ. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ევროპული და მსოფლიო რაგბის ამჟამინდელი სტრუქტურა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ პირველი და მეორე ეშელონების გუნდებმა ერთმანეთთან ბევრი შეხვედრა ჩაატარონ. ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს ექვს ერში მიიღებენ, თუმცა იქამდე, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და ელიტას წლები გაშორებთ“, – ეს განცხადება ევროპული რაგბის პრეზიდენტმა, ოქტავიან მორარიუმ გააკეთა.

ასეთი განცხადების შემდეგ, კომენტარის გაკეთება ძალიან ძნელია. ბარემ რაგბშიც 12-პუნქტიანი გეგმა მოგვცენ და გვითხრან, თუ შეასრულებთ, მიგიღებთო. აბა, რას ნიშნავს, აქამდე რომ გვიმტკიცებდნენ, ექვსი ერის ერთ წარმომადგენელს მაინც მოუგეთო და მოგების შემდეგ, მშვიდად აცხადებენ, ელიტას წლები გაშორებთო.

კალათბურთელებს ისტორიის დაწერის შანსი აქვთ

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, მსოფლიოს ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების დამარცხების შემდეგ, 2023 წელს გასამართი მსოფლიოს ჩამპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დაასრულა და მეორე ეტაპზე გავიდა. რა ხდება მეორე ეტაპზე? შევეცდებით, მსოფლიო კალათბურთის მამების მიერ მოგონილ რთულ ლაბირინთში გაგარკვიოთ და აგიხსნათ, რისი შანსი აქვს ილიას ზუროსის გუნდს, როგორ შეუძლია საქართველოს ნაკრებს ისტორია დაწეროს და პირველად გავიდეს მუნდიალის ფიანლურ ეტაპზე.

დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სამ ქვეყანაში – ინდონეზიაში, იაპონიასა და ფილიპინებზე, 2023 წლის 25 აგვისტოდან, 10 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ნაკრები პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, G ჯგუფში ასპარეზობდა და მეორე ადგილზე, 10 ქულით გავიდა. მეორე ეტაპზე საქართველო ისევე, როგორც ჩვენი ჯგუფის ბინადრები – ესპანეთი და უკრაინა, ახალ, L ჯგუფში ითამაშებს. მეორე ეტაპზე გუნდებს მხოლოდ ის ქულები გადაჰყვებათ, რომლებიც მათ პირველ-მესამე ადგილზე გასულებთან ბრძოლაში მოიპოვეს.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჩვენს წინ ესპანეთი, იტალია და ისლანდიაა (სამივეს სამი მოგება), საქართველო კი მეოთხე ადგილზეა – ორი მოგებით. შემდეგ მოდიან ერთი მოგების მქონე უკრაინა და გამარჯვების გარეშე მყოფი ნიდერლანდები. მეორე ჯგუფურ ეტაპზე საქართველო (ისევე, როგორც უკრაინა და ესპანეთი) სამ მეტოქესთან (იტალია, ისლანდია, ნიდერლანდები), ექვს მატჩს (შინ და სტუმრად) გამართავს. ექვსი ტურის შემდეგ, საუკეთესო სამი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

მე-2 ჯგუფური ეტაპის ცხრილი:
1. ესპანეთი – 7 ქულა;
2. იტალია – 7 ქულა;
3. ისლანდია – 7 ქულა;
4. საქართველო – 6 ქულა;
5. უკრაინა – 5 ქულა;
6. ნიდერლანდები – 4 ქულა.

რაც შეეხება კალენდარს:

2022 წელი, 24 აგვისტო, საქართველო-ნიდერლანდები; 27 აგვისტო, იტალია-საქართველო;

2022 წელი, 11 ნოემბერი, ისლანდია-საქართველო; 14 ნოემბერი, საქართველო-იტალია;

2023 წელი, 23 თებერვალი, ნიდერლანდები-საქართველო; 26 თებერვალი, საქართველო-ისლანდია.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს L ჯგუფის სამი საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. ყველა თანხმდება, რომ 1-2 ადგილებისთვის იტალია და ესპანეთი იბრძოლებენ, მესამე საგზურისთვის კი ისლანდია, საქართველო და უკრაინა. ლოგიკურად, თუ საქართველო ნიდერლანდებსა და ისლანდიას ორივე შეხვედრას მოუგებს, მესამეობა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ძალიან საეჭვოა, უკრაინამ იგივე გააკეთოს.

ვირუსს ხელოვნური ინტელექტი გამოავლენს



ლესტერის უნივერსიტეტის სწავლულებმა ხელოვნური ინტელექტი შექმნეს, რომელსაც კორონავირუსის გამოვლენა შეუძლია. ეს პროგრამა ფილტვების კომპიუტერულ ტომოგრაფიაზეა დაფუძნებული და ალგორითმს იყენებს დიაგნოზის შემდგომი კორექციისთვის. სწავლულთა განცხადებით, მათი მეთოდი 97.8%-იანი სიზუსტით მუშაობს. კორონავირუსის გამოვლენის არსებულმა მეთოდებმა შეიძლება ცრუდადებითი ან ცრუუარყოფითი შედეგები მოგვცეს, ხელოვნური ინტელექტი კი, პრაქტიკულად, ამას გამორიცხავს, რაც დაავადების სწრაფი და ზუსტი გამოვლენის და მედიკოსებზე დატვირთვის შემცირების საშუალებას იძლევა. სპეციალისტები აზუსტებენ, რომ პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება გამოყენებული იყოს პორტატულ ხელსაწყოებზე, მაგალითად, სმარტფონზე. გარდა ამისა, სწავლულები ამბობენ, რომ ტექნოლოგიის დახვეწა სურთ, რათა მისი გამოყენება სხვა დაავადებების (სიმსივნე, ალცჰაიმერი, გულსისხლძარღვთა და სხვა) დიაგნოსტიკისთვისაც შეძლონ.

კურორტზე შიშველი ტორსი აკრძალეს

იტალიის პოპულარულ ზღვისპირა ქალაქ სორენტოში, ქუჩებში შიშველი ტორსით, როგორც პერანგის გარეშე, ასევე, საცურაო კოსტიუმებში სიარული აიკრძალა. წესების დამრღვევებს 25-დან 500 ევრომდე ჯარიმა ელით. სორენტოს მერის, მასიმო კოპოლას თქმით, ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ნახევრად შიშველი დამსვენებლები, საკუთარი გარეგნობით, დისკომფორტს უქმნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და სხვა ტურისტებსაც. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებდა ქალაქის ცხოვრებაზე, მის იმიჯსა და ტურისტულ ბიზნესზეც კი.

ბადრიჯანი სიმსივნის წინააღმდეგ

სწავლულები აცხადებენ, რომ ბადრიჯანი განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტია და რამდენიმე დაავადებისგანაც გვიცავს. ეს ბაღჩეული კულტურა დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან იცავს. ეს უკანასკნელი არღვევს უჯრედის სტრუქტურას, აჩქარებს დაბერების პროცესს და ხელს უწყობს სიმსივნეების განვითარებას. კვლევებით დადასტურებულია, რომ ბადრჯანში შემავალი ნივთიერება SRG კლავს სიმსივნურ უჯრედებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და აფერხებს გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ამ მელნისფერ ბოსტნეულს დღეგრძელობის პროდუქტსაც უწოდებენ, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში მისი დადებითი როლი გამორჩეულია. ბადრიჯანი მდიდარია უჯრედისით, პექტინითა და ცილებით. ის შეიცავს კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, ცე, ბე და პე-ჯგუფის ვიტამინებს.

ტომატის ნაყინი უფასოდ!

კანადაში, კომპანია French's-მა, რომელიც სოუსების წარმოებაზეა სპეციალიზებული, ნაყინის კანადურ ბრენდთან – Happy Pops ერთად, ხილის ცივი დესერტი შექმნა, რომელშიც ორგანული ლერწმის შაქრით დამტკბარი, 100%-ით კანადური პომიდორი გამოყენეს. ნაყინი, რომელსაც პიკანტური ტომატის გემო ჰქონდა, მარილიანი ტკბილეულის ელფერით, შეზღუდული რაოდენობით დაამზადეს და სამი დღის განმავლობაში, ყველა მსურველს უფასოდ დაურიგეს.

ახალი რაციონი წონის კორექციისთვის

სპეციალისტების გათვლებით, ადამიანებმა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ხორცის, თევზის, კვერცხის, რძის პროდუქტებისა და ცხოველური ცილის სხვა წყაროებიდან დღეში, არაუმეტეს, 350 კალორია უნდა მიიღონ. დანარჩენი 2000-ზე მეტი კალორია კი ორგანიზმმა მცენარეული პროდუქტებიდან უნდა მიიღოს. ხილსა და ბოსტნეულზე გათვლილია 720 კალორია, მარცვლეულ პროდუქტებზე - 820, მცენარეულ ცხიმზე, ნიგოზზე, პარკოსნებზე, შაქარსა და სახამებლის შემცველებზე, როგორიცაა კარტოფილი - 400 კალორია. მოსახლეობის კვებითი ჩვევების გადახედვა, სწავლულების გათვლებით, შეამცირებს ჭარბი წონით გამოწვეულ დაავადებებს და ამ მიზეზით სიკვდილიანობაც მოიკლებს. ამ გზით, 2060 წლისთვის, ყოველწლიურად, 26 მილიონი ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილება იქნება შესაძლებელი.

ჩინოვნიკებს გაღიმება დაევალათ

ფილიპინების ქალაქ მულანაის მერმა, არისტოტელ აგირემ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ ჩინოვნიკებს სამუშაო ადგილზე გაღიმება დაევალათ. ამასთან, თუკი რომელიმე ქეშევრდომს სამსახურში სევდიანი გამომეტყველებით მჯდომარეს აღმოაჩენენ, ეს დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება.

„თუკი ჩვენი თანამშრომელი ან თანამდებობის პირი, საკუთარი ქმედებით ამ მოთხოვნას არ დაექვემდებარება, ეს საკმარისი საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი საქციელი კეთილსინდისიერი მუშაობის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს“, – ნათქვამია მერის დადგენილებაში.

ძლიერი ემოცია ალერგიას იწვევს

თურმე, ასეთი დაავადებაც არსებობს. მის შესახებ ბრიტანელმა გოგონამ, ნატაშა კოუტსიმ სოციალურ ქსელში დაწერა. ნატაშას თქმით, მას ბავშვობიდან აღენიშნება პოხიერი უჯრედების აქტივაციის სინდრომი. "ძლიერ ემოციებზე მაქვს ალერგია. ჩემი სხეულის ნებისმიერმა ცვლილებამ - სიცილმა, ტირილმა, მხიარულებამ ან სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს ქიმიური რეაქცია", - დაწერა ნატაშამ.

მან ისიც გაიხსენა, როგორ განუვითარდა კვინკეს შეშუპება გულიანი სიცილის შედეგად, რომელიც შეიძლებოდა ფატალურადაც კი დასრულებულიყო. გოგონა იხსენებს, რომ სიცილის შედეგად, ენა და ყელი გაუსივდა. ერთმა ადამიანმა სასწრაფო გამოიძახა, ხოლო მეორე - ნემსის გაკეთებაში დაეხმარა, რათა არ გაგუდულიყო.

მარილი სიცოცხლეს ორი წლით გვიმოკლებს

უკვე მზა კერძში მარილის რეგულარულად დამატება ნაადრევი სიკვლილის რისკებს 28%-ით ზრდის. ასეთი ჩვევის მქონე, დაახლოებით, 50 წლის მამაკაცები ორი წლით ნაკლებს ცოცხლობენ, სუსტი სქესის წარმომადგენლები კი – წელიწადნახევრით ნაკლებს მათთან შედარებით, რომლებიც მზა კერძებს არ ამარილებენ. ასეთი დასკვნები დადეს ამერიკელმა სწავლულებმა ცხრაწლიანი კვლევისა და 500 ათასი ბრიტანელის მონაცემების გაანალიზების შემდეგ.

კვლევისას, სპეციალისტებმა სხვა ფაქტორებიც გაითვალისწინეს, რაც გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, მათ შორის, მოწევა, ფიზიკური აქტივობა, სხეულის მასის ინდექსი, რაციონი და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა. გაირკვა, რომ მოხმარებული მარილის 70%-ს, ევროპელები ნახევარფაბრიკატებიდან და გადამუშავებული პროდუქტებიდან იღებენ, ხოლო ჭამის დროს, 8-დან 20%-მდე ამატებენ. თუკი საჭმელს ზედმეტად აღარ დავამარილებთ, უფრო ჯანმრთელები ვიქნებით, – მიაჩნიათ სწავლულებს.

სელფის გამო, ვულკანის კრატერში ჩავარდა

ამერიკელი ტურისტი იტალიაში, ჩამქრალი ვულკანის – ვეზუვის კრატერში, სელფის გადაღებისას ჩავარდა. 23 წლის მოგზაური ვულკანის სანახავად ოჯახის წევრებთან ერთად წავიდა. ისინი ვეზუვის მწვერვალზე ავიდნენ. მამაკაცმა იქ, ნეაპოლის პანორამის ფონზე, სელფის გადაღება მოინდომა, რა დროსაც ტელეფონი ხელიდან გაუვარდა. მის ასაღებად კრატერის პირზე მოუწია გავლა, თუმცა წონასწორობა დაკარგა და შიგ ჩავარდა. თვითმხილველებმა მაშინვე დახმარება ითხოვეს. ტურისტის საშველად რამდენიმე გიდი ჩავიდა და სელფის მოყვარული თითქმის უვნებლად ამოიყვანეს – მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი და ჩალურჯებებით გადარჩა. საგანგებო შემთხვევის გამო, პოლიციაც მზადყოფნაში იყო და სამაშველო ვერტმფრენიც.

საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამერიკული ოჯახი ვეზუვზე აკრძალული მარშრუტით ავიდა, რის გამოც, შესაძლოა, მათ ბრალი წაუყენონ კიდეც. ექსპერტები ვეზუვს ერთ-ერთ, ყველაზე საშიშ ვულკანად მიიჩნევენ. ის ერთადერთია ევროპაში, რომელიც ბოლო 100 წელიწადში – 1913 წელს ამოიფრქვა. ვეზუვი აქტიური იყო 1044 წლამდე. ვულკანის კრატერის დიამეტრი 450 მეტრია, სიღრმე კი – 300 მეტრი. მისი უმაღლესი წერტილი 1277 მეტრია.

ჰეკინში ვაქცინაცია სავალდებულოა

ჩინეთის დედაქალაქში მოქალაქეები საზოგადოებრივ ადგილებში შესვლას აცრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე ვერ შეძლებენ, - ამ ინფორმაციას CNN ავრცელებს. ტელეკომპანიის ცნობით, ეს გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში რამდენიმე დღის წინ შევიდა, "ომიკრონის" ქვევარიანტის გავრცელების შესაჩერებლად მიიღეს. მოქალაქეებს ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ისეთ ადგილებში მოუწეთ, როგორებიცაა კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სტადიონები, სპორტდარბაზები. გამონაკლისი შეეხება იმ ადამიანებს, რომლებისთვისაც ვაქცინაცია არ შეიძლება.

სიჩუმე ტვინისთვის სასარგებლოა

სიჩუმეს შეუძლია ხელი შეუწყოს ტვინის ახალი უჯრედების ზრდის სტიმულაციას, გააქტიუროს მეხსიერება და რეფლექსები, - ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ექსპერტები, რომელთაც მუსიკისა და სხვა ხმაურის გავლენა შეისწავლეს ადამიანზე. სწავლულთა თქმით, სიჩუმეში ტვინი უფრო ადვილად ამუშავებს მონაცემებს, "ახარისხებს" მიღებულ ინფორმაციას, რაც ასტიმულირებს რეფლექსებს. ვინაიდან ადამიანის ტვინი სხვადასხვა ხმაურის მიმართ აღქმადია, მოსმენის შემდეგ, მუსიკა რომ გათიშოთ კიდეც, მელოდია მაინც თავში იტრიალებს. მიზეზი ის არის, რომ თავის ტვინის ქერქი განაგრძობს მუშაობას და მელოდიის მოსმენის ილუზია იქმნება - ასე კი მეხსიერება აქტიურდება.

ეკო-სიგარეტი შექმნეს

სამხრეთაფრიკულმა კომპანია Smokey Treats-მა, მსოფლიოში პირველი, ბიოდეგრადირებადი ეკო-სიგარეტის შექმნის შესახებ განაცხადა. ის ისევე მავნეა ჯანმრთელობისთვის, როგორც ჩვეულებრივი, მაგრამ სრულიად უსაფრთხოა პლანეტისთვის. სიგარეტის ნამწვი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარჩენია დედამიწაზე. მისი ფილტრი შეიცავს პლასტიკს და სხვა მასალას, რომელიც აფერხებს მათ ხრწნას და აბინძურებს გარემოს. ეკო-სიგარეტის ფილტრები კი ხის მასალისგანაა დამზადებული. კომპანიის წარმომადგენლების მტკიცებით, ასეთი ეკო-სიგარეტის გადაგდებული ნამწვისგან კვალიც აღარ რჩება. ახალ სიგარეტებში არც თამბაქო შეიცავს არანაირ დანამატს, კოლოფზე წარწერაც კი ეკოლოგიურია - მელანი სოიოსგანაა დამზადებული.

ცხოველს აპლიკაციით მოძებნით

ყოველწლიურად, აშშ-ში, 10 მილიონი შინაური ცხოველი იღუპება. ამ პრობლემის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შესატანად, ბრენდმა Iams, ინოვაციური მობილური აპლიკაცია NoseID აამოქმედა. აპლიკაცია ძაღლის ცხვირის სკანირების საშუალებას იძლევა და დაკარგულ ოთხფეხას უნიკალური ანაბეჭდის წყალობით პოულობს. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ თითოეული ძაღლის ცხვირი განუმეორებელია, მიღებული გამოსახულება კი ადამიანის თითის ანაბეჭდივითაა. ძაღლების პატრონებს ცხოველის პროფილის შექმნას სთავაზობენ - მითითებული უნდა იყოს გარეგნული პარამეტრები, ცხოველის განსხვავებული ნიშნები და დასკანერებული ცხვირი. ძაღლის დაკარგვის შემთხვევაში, ინფორმაციას აპლიკაციის ყველა მომხმარებელი მიიღებს. სიახლე ხელმისაწვდომია მხოლოდ ქალაქ ნეშვილსა და მის შემოგარენში, თუმცა ნელ-ნელა აპლიკაციის არეალი გაფართოვდება და აშშ-ს სხვა ქალაქებსაც მოიცავს.

მზის ენერგიას ლუდზე ცვლიან

ავსტრალიურმა ლუდსახარშმა კომპანიამ Solar Exchange, ახალი პროექტი აამოქმედა, რომელიც ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ჭარბი მზის ენერგია ლუდზე გადაცვალონ, რომელსაც შინ მიართმევენ. გაცვლითი პროგრამა მზის ენერგიაზე Diamond Energy და Power Ledger კომპანიებთან პარტნიორობით შეიმუშავეს. ლუდსახარშში იმედოვნებენ, რომ 2025 წლისთვის, წარმოება მთლიანად, 100%-ით აღდგენად ელექტროენერგიაზე გადაიყვანონ და დაეხმარონ ავსტრალიელებს, ამ ინოვაციური პროგრამით, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ მზის ენერგია.

მასობრივი ქორწილი ნიუ-იორკში

აშშ-ს უდიდეს მეგაპოლისში მასობრივი ქორწილი შედგა, რომელშიც 500 წყვილი მონაწილეობდა. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელთა გეგმებიც კორონავირუსის პანდემიამ ჩაშალა. ღონისძიება, სახელწოდებით - "ვზეიმობთ სიყვარულს", ლინკოლნ-ცენტრმა გამართა. დაწესებულების საიტზე ეს დღე ახალდაქორწინებულებისთვის განსაკუთრებულ დღედ გამოაცხადეს, რომელთაც ცერემონია გადადეს ან ძალინ მოკრძალებულად აღნიშნეს. მასობივ ქორწილში იმ წყვილებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც გადაწყვიტეს, კიდევ ერთხელ გამოეხატათ სიყვარული მეორე ნახევრისა და საყვარელი ქალაქის მიმართ. ლინკოლნ-ცენტრის წინ შეკრებულ წყვილებს ნიუ-იორკის მერმა, ერიკ ადამსმა მიმართა. ცერემონია სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა, რის შემდეგაც, ცოცხალი მუსიკის თანხლებით, საყოველთაო მხიარულება გაიმართა.

ახალი გული საქორწილო საჩუქრად

იტალიელი წყვილი ტურინიდან - მაურიციო კალორიო და სილვია დუკა, ექვსი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთ გოგონასაც ზრდიან. პანდემიის დაწყებამდე, წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა, მაგრამ კარანტინის გამო, სამწუხაროდ, ცერემონიის გადადება მოუწიათ. ახლა კი მათი გეგმები საქმროს ავადმყოფობის გამო დაინგრა: მაურიციოს გული გაუჩერდა და მხოლოდ აპარატზე შეერთების შედეგად სუნთქავდა. მას გულის გადანერგვა სჭირდებოდა, მაგრამ დონორი ორგანო ვერ გამოძებნეს.

შეყვარებულებმა გადაწყვიტეს, ქორწილის დღეს არ დალოდებოდნენ და ხელმოწერის ცერემონია პირდაპირ კლინიკაში გამართეს, რადგან არავინ იცოდა, ტრანსპლანტაციის გარეშე, სასიძო რამდენ ხანს იცოცხლებდა. ქორწილიდან რამდენიმე საათში, სასწაული მოხდა: ახალდაქორწინებულებს შეატყობინეს, რომ დონორი გული გამოჩნდა ნეაპოლში, ის სპეცრეისით ტურინში ჩაიტანეს და იმავე ღამეს, მაურიციოს გადაუნერგეს. „ქორწილის დღეს, წარმოუდგენელი საჩუქარი - ახალი გული მივიღეთ. ახლა ერთად დაბერებას ვგეგმავთ“, - განაცხადა ბედნიერმა პატარძალმა.

ყველაზე ძვირადღირებულ ბინას ვერ ყიდიან

საუდელი მილიარდელის, ფავეზ ალ-ჰოკაირის პენტჰაუსი ყველაზე ძვირადღირებულ უძრავ ქონებად დასახელდა. ადრე, 169 მილიონ დოლარად იყო გატანილი გასაყიდად, თუმცა მყიდველი არ გამოჩნდა. საცხოვრებელი ფართი ნიუ-იორკში, პარკ-ავენიუზე მდებარე ცათამბჯენის 96-ე სართულზე მდებარეობს. პენტჰაუსში შედის მისაღები, ბიბლიოთეკა, ექვსი საძინებელი და შვიდი აბაზანა. მთლიანი ფართი 767 კვადრატული მეტრია და მისი ძირითადი ხიბლი ბარია, საიდანაც პანორამული ფანჯრების საშუალებით, ცენტრალურ პარკზე ულამაზესი ხედი იშლება. შენობაშია ლაუნჯ-ზონა, რესტორანი, ღია ტერასა ღონისძიებებისთვის, 23-მეტრიანი ღია აუზი, სავარჯიშო დარბაზი სპა-ცენტრით და იოგას სტუდია. არაბმა მილიარდერმა ეს უძრავი ქონება 2015 წელს, 87.7 მილიონ დოლარად იყიდა. პენტჰაუსი ახლაც იყიდება, თუმცა ბროკერის თქმით, თანხა მოთხოვნის შემდეგ სახელდება. ჯერჯერობით, ყველაზე ძვირადღირებულ ბინას მყიდველი ვერ გამოუჩნდა.

ძილის უკმარისობა ასუქებს

ადამიანების სწრაფი გასუქების ერთ-ერთი მიზეზი ახალზელანდიელმა სწავლულებმა გაარკვიეს. მათი განცხადებით, ბავშვობაში არასაკმარისმა ძილმა, შესაძლოა, ორგანიზმის ძლიერი გაცხიმოვნება გამოიწვიოს. საქმე ის არის, რომ არასაკმარისი ძილის დროს, ირღვევა ჰორმონალური ბალანსი, რაც მადას აძლიერებს, შედეგად კი ადამიანი წონაში იმატებს. მკვლევარებმა გააანალიზეს 200-ზე მეტი ბავშვის ცხოვრების სტილი, სამიდან შვიდ წლამდე. გაირკვა, რომ პატარები, რომლებსაც საკმარისზე ნაკლებხანს ეძინათ, უკვე შვიდი წლის ასაკისთვის, ჭარბი წონისკენ იყვნენ მიდრეკილნი.

ჩვილის სიცოცხლე 3D-გულმა იხსნა

14 თვის პატარას, რონალდ ლიანიუს ქირურგებმა მეორე სიცოცხლე აჩუქეს, მისი სხეულის მთავარი ორგანო კი სამგანზომილებიანმა მოდელმა შეცვალა. 3D-გულის წყალობით, რომელიც აშშ-ს ლუისვილის უნივერსიტეტის ინჟინრებმა შექმნეს, ექიმებმა პატარა ბავშვს გულის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგიული ჩარევის გარეშე, შესაძლოა, ჩვილი დაღუპულიყო, რადგან ორგანიზმის "ძრავას" რამდენიმე დაავადება განუვითარდა. მედიკოსების წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა. პატარა პაციენტისთვის სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ, მეტად რთული ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. მათ ინჟინერ-მედიკოსები დაეხმარნენ, რომელთაც ჩვილის ტომოგრაფიის გათვალისწინებით, 3D-გული შექმნეს. კარდიოქირურგმა, რომელიც ოპერაციას ატარებდა, აორტის სარქველისა და კუჭის შესაერთებლად უნიკალური მეთოდი მოიფიქრა და ერთი ოპერაციით, ყველა პრობლემა წარმატებულად მოგვარდა. პატარა რონალდი ახლა თავს კარგად გრძნობს და როგორც ექიმები ამტკიცებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მავნე ჩვევაზე უარი სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ამერიკელმა სწავლულებმა კაროლინას უნივერსიტეტიდან, მასშტაბური კვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ შეიძლება გაიხანგრძლივოს ადამიანმა სიცოცხლე. სპეციალისტებმა გააანალიზეს დანიის, ფინეთისა და შვედეთის მოქალქეების სიცოცხლის ხანგრძლივობა. 20-წლიანი დაკვირვების პერიოდში, ყველანაირი დაავადებებისგან სიკვდილიანობა გაცილებით მაღალი იყო ალკოჰოლის მოყვარულთა ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ სასმელის მოყვარულებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 28 წლით მცირდებოდა. მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ ალკოჰოლი ნეგატიურ გავლენას ახდენს ტვინის, გულისა და ღვიძლის მუშაობაზე. სპირტიანი სასმელების რეგულარული მიღება კი ზრდის სხვადასხვა სახის სიმსივნის განვითარების რისკს. ალკოჰოლიზმი ხდება ჭკუასუსტობის, იმპოტენციისა და უნაყოფობის მიზეზი.

ნიადაგს ტრუსებით შეამოწმებენ

შვეიცარიელმა ფერმერებმა ქვეყანაში გრუნტის ხარისხის შემოწმების ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს. ექსპერიმენტის სახით, რომელსაც Agroscope-ის ინსტიტუტი ატარებს, მიწაში ჩაფლავენ 2 ათას ცალ ტრუსს. ამ უჩვეულო ცდაში ათასი ფერმერი მოხალისე მონაწილეობს - ისინი საკუთარ მიწებზე "დამარხავენ" საცვლებს ჩაის პაკეტებთან ერთად. ტრუსების ნაწილს ერთი თვის განმავლობაში ამოიღებენ, ნაწილს კი - ორი თვის შემდეგ. შემდეგ კი სპეციალისტები საცვლებზე დაზიანებებს შეისწავლიან. მკვლევართა თქმით, რაც მეტი ნახვრეტი იქნება ქსოვილზე, მით უფრო ხარისხიანი იქნება ნიადაგი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ექსპერიმენტები უკვე ჩაატარეს კანადელებმაც.

გაზიანი სასმელი კიბოს წინააღმდეგ

ოქსფორდისა და ოლსტერის უნივერსიტეტების სპეციალისტები ახალ გაზიან სასმელზე მუშაობენ, რომელმაც სიმსივნური წარმონაქმნები სხივური და ქიმიოთერაპიის მიმართ უფრო მოწყვლადი უნდა გახადოს. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი სიმსივნე ადაპტირებას ახდენს ნაკლებჟანგბადიან გარემოში. ეს კი მათ პრეპარატების მიმართ უფრო მდგრადს ხდის. სასმელი, რომელზეც ბრიტანელი სწავლულები მუშაობენ, ბუშტუკებით იქნება გაჯერებული და მათ სიმსინე უნდა „გამოკვებონ“ ჟანგბადით. ეს კი გზას გაუხსნის წამლებსა და სხივურ თერაპიას. აღსანიშნავია, რომ სასმელი უკვე წარმატებით გამოსცადეს ლაბორატორიულ თაგვებზე. მკვლევარები აცხადებენ, რომ სასმელი უპირველესად კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მკურნალობისთვის იქნება განკუთვნილი.

სასტუმრო წიგნების მოყვარულებისთვის

წიგნის კითხვა ბევრ ადამიანს უყვარს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც კითხვის გარეშე დაძინება არ შეუძლიათ. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის, ტოკიოში ახალი სასტუმრო Book and Bed („წიგნი და საწოლი“) გაიხსნა. ეს იდეალური ადგილია იმისთვის, რომ საკითხავთან ჩახუტებულმა დაიძინო. ასეთი სასტუმროს იდეა კომპანია Suppose Design-ის დიზაინერებს ეკუთვნით. სასტუმროში ორი სახის ნომრებია - კომპაქტური, სადაც 205X85 სმ-ის ზომის განყოფილებაა საწოლით და მეორე „სტანდარტული“ - 205X129 სმ-ზე. ორივე მათგანი სივრცეს წიგნის თაროებთან იყოფს. ამ უჩვეულო სასტუმროში ღამის გატარება 3800-დან 6 ათას იენამდე ღირს (32-დან 50 დოლარამდე). ჯერჯერობით, სასტუმრო-ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1700 წიგნია იაპონურ და ინგლისურ ენებზე, თუმცა ახლო მომავალში, მისი მესვეურები აპირებენ, ბიბლიოთეკა 300 ათას ეგზემპლარამდე შეავსონ.

საკუთარი და გაიჩინა

შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა საკუთარ დედას შვილი გაუჩინა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, 25 წლის ჰოლი სამერსმა გადაწყვიტა, დახმარებოდა დედას – ფეის, რომელმაც 51 წლის ასაკში, ახალი ქმრისგან შვილის ყოლა გადაწყვიტა. პრობლემა ის იყო, რომ დედა სტერილიზებული გახლდათ. ჰოლი კვერცხუჯრედის დონორი და ასევე, სუროგატი დედა გახდა. შედეგად, ამ ქვეყანას მოევლინა გოგონა – უილოუ. ბედნიერი ფეი აცხადებს, რომ ასეთი საქციელის გამო, უზომოდ მადლიერია ქალიშვილის. „როცა უილოუ გაიზრდება, ის აუცილებლად შეიტყობს საკუთარი წარმოშობის შესახებ“, – ამბობს ჰოლის დედა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.